პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკ-ის ორგანო

შაბათი
6
ივლისი
1937 წ.
№ 153 (4954)

ფასი 10 კაპ.

„ჩვენ მომხრენი ვართ მშვიდობიანობისა და ვიცავთ მშვიდობიანობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარისა და მზად ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას“ (სტალინი).

სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხით კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი მშობლიური წითელი არმია—მშვიდობიანობის ბურჯი მთელს მსოფლიოში!

გადამწყვეტი თვე

მიწსახკომის ოპერატიული ცნობებით, 1 ივლისისათვის საკოლმეურნეო - გლეხურ სექტორში სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 6.388.152 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, წლიური გეგმის 35,1 პროც. ჩაის რაიონებმა მარტო ივნისში სახელმწიფოს დააკლეს 1.070.317 კილოგრამი ფოთოლი.

ამ ჩამორჩენის ახსნა უამინდობით და სხვა მსგავსი „ობიექტური“ მიზეზებით ცარიელი ლაყბობა იქნება. ივნისის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით ხელსაყრელი ამინდი დგას. ამავე დროს კი ივნისის მეხუთე ხუთდღიურში საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში სულ მოიკრიფა 628.113 კილოგრამი ფოთოლი, ხოლო მეექვსეში — 800.705 კილოგრამი.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ჩაის რაიონების მთელი რიგი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ნამდვილ ოპერატიულ ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ჩაის კრეფას. ეს ხდება მაშინ, როცა წელს სახელმწიფო გეგმა ჩაის ფოთლის ჩაბარებისა 24.500.000 კილოგრამია დაწყებული ჰექტარზე საშუალოდ 1.901 კილოგრამი მოსავლიანობით.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლება ჩაის ისეთი ძირითადი რაიონების ჩამორჩენისა, როგორიცაა მახარაძის, ლანჩხუთის, ქობულეთის, ზუგდიდისა და გალის რაიონები. ამ მხრივ ცუდად მუშაობენ მახარაძისა და ქობულეთის რაიონები. მახარაძის რაიონის საკოლმეურნეო გლეხურმა სექტორმა სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 4.750.000 კილოგრამი ფოთოლი, ქობულეთისამ — 2.850.000. ფაქტიურად კი ამ რაიონებმა მაისის გეგმებიც ვერ შეასრულეს.

დიდად ჩამორჩნენ აგრეთვე ოჩამჩირის, ცხაკაიას, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონები, ხოლო ზუგდიდის რაიონმა უკანასკნელად უსისტემო მუშაობის რეკორდი დაამყარა. ზუგდიდის რაიონმა მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ამან ადგილობრივ მუშაკთა შორის შექმნა თვითკმაყოფილება, თავბრუდახვევა წარმატებისაგან. განა ამას არ მოწმობს ის, რომ ზუგდიდის რაიონმა ივნისის გეგმა მხოლოდ 49,2 პროცენტით შეასრულა?

ჩაის კრეფაში ამ სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზია კოლმეურნეობებში შრომის მოუგვარებლობა, განუწყვეტელი კრეფის გაუტარებლობა, ჩაის მავნებლებთან სუსტი ბრძოლა და სტახანოვური მოძრაობის არასაკმაოდ გაშლა.

მთელი რიგი რაიონების მიწგანებები, მტს-ები და ჩაის კანტორის უფროსები ჩაის კრეფას ქაღალდებით ხელმძღვანელობენ. ლანჩხუთის რაიონის მამათის ფაბრიკის ფოთლის დამზადების უფროსი ამხ. პაქსაშვილი ამოწმებს პლანტაციებს, ადგენს მოხსენებითს ბარათებს, მაგრამ საქმის პრაქტიკული შედეგი არა ჩანს. მამათის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის გეგმის შესრულება კი გადამწყვეტ როლს თამაშობს რაიონული გეგმის შესრულებაში.

გალის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მასობრივად არის მოდებული ჩაის მავნებელი. აფხაზეთის მიწსახკომს კი არ აუტეხია განგაში ჩაის მავნებლებთან საბრძოლველად. პირიქით, აფხაზეთის მიწსახკომის სუბტროპიკული სამმართველოს მუშაკები დამშვიდებულად აცხადებენ: „გალის რაიონში ჩაის მავნებლები აღარ არისო“. ეს აშკარად ოპორტუნისტული განწყობილებაა. ჩაის მავნებლებთან ბრძოლა სათანადოდ არ არის გაშლილი მახარაძის რაიონში. რაიმიწგანი ადგილებზე ინსტრუქციების დაგზავნით კმაყოფილდება.

მთელ რიგ რაიონებში ფაქტიურად არ არის გატარებული ჩაის ნაკვეთების 5-7 წლით მიმაგრება ბრიგადებსა და ჯგუფებზე. ამის გამო ბრიგადებს შორის მოდუნებულია პასუხისმგებლობის გრძნობა და დაბალია შრომის ნაყოფიერება. მტს-ების დირექტორები ამას გულხელდაკრეფილი შესცქერიან.

უხეირო მუშაობით ჩამორჩენილი ჩაის რაიონები ახლა ცდილობენ გარღვევას თავი დაალწიონ „შტურმებით“. ჩაის კრეფის ხუთდღიურების შედარებამ გვიჩვენა, რომ ყველა რაიონს, გარდა გეგეჭკორის რაიონისა, ივნისის უკანასკნელ ხუთდღიურში მოკრეფილი აქვს ჩაის ფოთლის გაცილებით მეტი რაოდენობა წინა ხუთდღიურთან შედარებით. მაშინ როცა ამინდი ერთნაირი იდგა. მეორდება გასული წლის უსისტემო მუშაობის მავნე პრაქტიკა—„შტურმოვშჩინა“. ამხ. ლ. ბერიამ მუშაობის ასეთი „სისტემა“ სამართლიანად დაჰგმო თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე. როგორც ჩანს, ჩაის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს აქედან ჯერ კიდევ არ გამოუყვიათ ყველა საჭირო დასკვნა.

მკაცრი კრიტიკის ღირსია ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშაობა. 1 ივლისისათვის ჩაის საბჭოთა მეურნეობებს ივნისის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 62,2 პროცენტით, შარშან კი ამავე რიცხვისათვის — 71,2 პროცენტით. ყველაზე მეტ სამარცხვინო მაჩვენებლებს ამ მხრივ იძლევიან წალენჯიხის, აჩიგვარის, ნარაზენის, დიდი-ჭყონის, ლაითურის და ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობები. ეს მოწმობს, რომ „საქჩაი“ და ადგილობრივი პარტიული ორგანოები საბჭოთა მეურნეობებს სუსტად ხელმძღვანელობენ.

ჩაის ფოთოლი ამჟამად უხვად არის შემოსული. ყველა ზომას უნდა მივმართოთ, რათა მტკიცედ იქნას დანერგილი ჩაის განუწყვეტელი კრეფა. ნუ დავივიწყებთ, რომ ივლისი გადამწყვეტია ჩაის ფოთლის წლიური გეგმის შესრულების საქმეში.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოთ შესრულებისათვის და ამ საქმეში გამოჩენილი გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება **ლენინის ორდენის** გადაცემით:

1. ბრიგადის მეთაურ პეტრე ივანეს-ძე **პუმპურს,**
2. კაპიტან კონსტანტინე ილიას-ძე **კოლესნიკოვს,**
3. უფროს ლეიტენანტ სერგეი პროკოფის-ძე **დენისოვს,**
4. ლეიტენანტ ივანე ანდრიას-ძე **ხოვანსკის,**
5. უმცროს მეთაურს ვასილ მიხეილის-ძე **ნოვიკოვს,**
6. უმცროს მეთაურს კუზმა იაკობის-ძე **ბილიბინს.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ნ. ფილატოვი.

მოსკოვი, კრემლი,
1937 წლის 4 ივლისი.

◆

აჭარის ასს რესპუბლიკის ცაკის III სესია

ბათუმი, 4 ივლისი (საქდესი). 3 ივლისს საღამოს ბათუმში შესდგა აჭარის II მოწვევის ცაკის III სესია. სესია გახსნა აჭარის ასს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ქვანიამ.

სესიამ მოისმინა ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ზაქარიაძის მოხსენება აჭარის ასს რესპუბლიკის 1937 წლის ბიუჯეტის და ადგილობრივ ბიუჯეტთა საკონტროლო ციფრების შესახებ.

აჭარის რესპუბლიკის ბიუჯეტი სესიამ დაამტკიცა 41.542.200 მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 1936 წლის 33.354.800 მანეთისა.

აჭარის სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იქნება 7.391.700 მანეთი, მათ შორის 1.480 ათასი მანეთი — ადგილობრივ მრეწველობაში, 4.408 ათასი მანეთი — კომუნალურსა და საბინაო მშენებლობაში. სოციალურსა და კულტურულ-ყოფაცხოვრებო ღონისძიებებზე დახარჯება 28.100 ათასი მანეთი, აქედან მხოლოდ სახალხო განათლებაზე — 18.835 ათასი მანეთი და სახალხო ჯანმრთელობის დაცვაზე — 8.642.500 მანეთი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ განათლების სახალხო კომისარი ამხ. ქათამაძე, საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი ამხ. კარელი, თავმჯდომარენი რაიაღმასკომებისა: ქობულეთისა — ამხ. ქურთუბაძე, ბათუმისა — ამხ. ჯაში, ხულოსი — ამხ. ბერიძე და სახბანკის განყოფილების დირექტორი ამხ. ინწკირველი.

◆ ◆ ◆

ბენეშმა მიიღო ამხ. ალექსანდროვსკი

პრაღა, 4 ივლისი (საქდესი). „პრაღერ პრესის“ ცნობით, გუშინ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში ამხ. ალექსანდროვსკი მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბენეშმა.

◆ ◆ ◆

ამხ. იურენევი ჩავიდა ბერლინს

ბერლინი, 4 ივლისი (საქდესი). დღეს დილით ბერლინს ჩამოვიდა სსრ კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. იურენევი. ამხ. იურენევს ვაგზალზე შეხვდნენ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი და საბჭოთა კოლონია.

თავდაცვის სესხის წარმატება

სესხის რეალიზაცია რესპუბლიკაში

საქართველოს შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის ცენტრალურ სამმართველოში შეჯამებული ცნობების მიხედვით, 5 ივლისისათვის (2, 3 და 4 ივლისს) მთელ რესპუბლიკაში უკვე გავრცელებული იყო 39.835.360 მანეთის სესხი.

ცნობათა დაჯამების შემდეგ ზოგიერთ რაიონიდან კვლავ გრძელდებოდა წინადღის ცნობების დაგვიანებით გადმოცემა. ისე რომ, აშკარაა, რესპუბლიკაში ამჟამად უფრო მეტი რაოდენობის სესხია გავრცელებული. გარდა ამისა, დასახელებულ ციფრში შესულია ცნობები არა ყველა რაიონიდან, არამედ მხოლოდ 17 რაიონიდან.

ამჟამად სესხის რეალიზაცია ფართოდ იშლება სოფლად, კოლმეურნეობებში. სესხზე მასობრივი ხელმოწერის გაშლასთან ერთად კოლმეურნეთა შორის თავი იჩინა შრომითი ენტუზიაზმის ახალმა ძლიერმა ტალღამ.

სესხის რეალიზაცია რაიონებში

აფხაზეთში სესხის რეალიზაცია კვლავ იშვიათი წარმატებით გრძელდება სესხის წარმატებით გავრცელების შესახებ ცნობები მოდის ყველა რაიონიდან და სასოფლო საბჭოდან.

5 ივლისისათვის აფხაზეთში გავრცელებული იყო 2.823.000 მანეთის სესხი. წინა დღით, ე. ი. 4 ივლისისათვის კი გავრცელებული იყო 1.770.000 მანეთის სესხი.

სოხუმსა და სხვა ქალაქებში (ოჩემჩირე, გაგრა და სხვ.) სესხის რეალიზაცია ძირითადად დამთავრებულია.

აჭარაში 5 ივლისისათვის „თავდაცვის განმტკიცების სესხზე“ ხელმოწერის თანხამ 4.559.000 მანეთს მიაღწია. ერთი დღის — 4 ივლისის —განმავლობაში გავრცელებულ იქნა თითქმის 1 მილიონამდე მანეთის სესხი.

გორში და გორის მთელ რაიონში წარმატებით მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია. 4 ივლისისათვის რაიონში გავრცელებული იყო 512.000 მანეთის, ხოლო 5 ივლისისათვის 722.000 მანეთის სესხი.

სოფლებში, კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში გაშლილია სესხზე მასობრივი ხელისმოწერა. სესხის გავრცელების ხელშემწყობი კომისიების წევრები გადიან მინდვრად სამუშაოებზე და ადგილობრივ აწყობენ ხელმოწერას.

მახარაძის რაიონში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხა 5 ივლისისათვის 551.000 მანეთს აღწევდა. რაიონის მშრომელ მოსახლეობაში სესხი დიდი პოპულარობით სარგებლობს.

სამტრედიაში 4 ივლისისათვის რეალიზებული იყო 950.000 მანეთის სესხი. 4 ივლისს გავრცელებულ იქნა 170.000 მანეთის სესხი. სულ ამჟამად რეალიზებულია 1.[illegible]20.000 მანეთის სესხი.

ხაშურში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ 4 ივლისს საღამოს მიაღწია 1.227.000 მანეთს.

ქალ. წულუკიძეში ახალი სესხის რეალიზაცია დიდი წარმატებით მიმდინარეობს. 5 ივლისისათვის აქ სესხზე ხელმოწერა ძირითადად დამთავრებული იყო.

მთელ რაიონში. 5 ივლისისათვის გავრცელებულია სულ 559.000 მანეთის სესხი.

ბათუმის კვანძის რკინიგზელებმა პირველებმა დაამთავრეს ხელმოწერა აჭარაში

ბათუმი, 3 ივლისი (საქდესი). აჭარის მშრომელნი უდიდესი აღფრთოვანებით აწერენ ხელს ახალ სესხზე.

ხელმოწერის პირველი ორი დღის განმავლობაში, 3 ივლისის საღამოს 9 საათისათვის ბათუმში სესხს ხელი მოაწერა 12.658 კაცმა. ხელმოწერის თანხა უდრის 2.710 ათას მანეთს. უნდა აღინიშნოს, რომ შარშან ბათუმში „მეორე ხუთწლედის“ სესხის (მეოთხე წლის გამოშვების“) ხელმოწერის თანხა პირველი ორი დღის განმავლობაში შეადგენდა 1.273 ათას მანეთს.

3 ივლისს დამთავრდა სესხის ხელმოწერა ბათუმის კვანძის რკინიგზელთა შორის. სულ სესხს ხელი მოაწერა 1.720 რკინიგზელმა 369 ათასი მანეთის რაოდენობით.

სესხზე დიდი ხალისით აწერენ ხელს კოლმეურნეები და სოფლის ყველა მშრომელნი. აჭარის რაიონებში (ხულოს რაიონის გამოკლებით, საიდანაც ცნობები არ მოსულა) სესხს ხელი მოაწერა 3.118 მუშამ, მოსამსახურემ, კოლმეურნემ და ერთპიროვნულმა მეურნემ. 3 ივლისს ხელმოწერა პირველმა დაამთავრა კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ. სესხს ხელი მოაწერა ყველა 65 კოლმეურნემ სულ 7.000 მანეთის რაოდენობით.

ა.-კ. სამხედრო ოლქის ნაწილებში

518.885 მანეთი ცვალებად შემადგენლობიდან

„თავდაცვის განმტკიცების სესხის“ რეალიზაციაში კადრის წითელარმიელებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს არ ჩამორჩნენ ცვალებადელები და ნებაყოფლობით მოსამსახურენიც. 2 და 3 ივლისის განმავლობაში სამხედრო ოლქის სხვადასხვა ნაწილების ცვალებადელებმა და ნებაყოფლობით მოსამსახურეებმა უკვე მოაწერეს ხელი 518.885 მანეთის სესხზე.

მეთაურთა ცოლებს შორის აღნიშნული ორი დღის განმავლობაში გავრცელებულ იქნა 34.495 მანეთის სესხი.

ა.-კ. სამხედრო ოლქის ნაწილებში 4 ივლისისათვის რეალიზებული იყო დიდი თანხის სესხი. ეს თანხა მთელი პირადი შემადგენლობის სამი კვირის ხელფასის 87 პროცენტს უდრის.

სტალინის დივიზიაში მთავრდება სესხის რეალიზაცია

სტალინის სახელობის № დივიზიაში სესხის რეალიზაცია უკვე მთავრდება. მთელ რიგ ლეგიონებსა და შენაერთებში სესხის გავრცელებაში ჩაბმულნი არიან ყველა მებრძოლი, მეთაური და პოლიტმუშაკი.

დივიზიის საბანაკო შეკრებაზე ხელმოწერის თანხამ მიაღწია მთელი პირადი შემადგენლობის სამი კვირის ხელფასის 110 პროცენტს.

უახლოეს 2-3 დღეში სესხის რეალიზაცია დივიზიის ნაწილებსა და შენაერთებში მთლიანად დამთავრდება.

სესხის რეალიზაცია თბილისში

ოთხ დღეში 27.927.940 მანეთის სესხია რეალიზებული

5 ივლისს ღამის 12 საათისთვის შეჯამებული ცნობების მიხედვით, გუშინ საღამოსათვის თბილისში გავრცელებული იყო **27.927.940 მანეთის სესხი, ანუ 183.300 მანეთით მეტი, ვიდრე შარშანდელი სესხის საბოლოო თანხა იყო.** ახალ სესხზე ხელისმომწერთა რაოდენობა გუშინ საღამოსათვის 157.038 მშრომელს უდრიდა.

ორგანიზებული მოსახლეობიდან სესხზე ხელი მოაწერა 124.912 მშრომელმა. მათ შორის რეალიზებულია 25.214.210 მანეთის სესხი.

არაორგანიზებული მოსახლეობიდან სესხი გავრცელებულია 32.126 მშრომელს შორის. გავრცელებული სესხის თანხა 2.713.730 მანეთს უდრის.

გასული წლის სესხის რეალიზაციის საბოლოო თანხას გადააჭარბეს — **ლენინის რაიონმა** 570.000 მანეთით, **სტალინისამ** — 335.000 მანეთით, **26 კომისრისამ** — 257.000 მანეთით და **კიროვის რაიონმა** — 130.000 მანეთით.

სესხზე ხელისმოწერა წარმატებით გრძელდება მთელ ქალაქში.

მეცნიერები და მეცნიერი მუშაკები ხელს აწერენ სესხს

2 ივლისს შესდგა მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისა და მისი სამეცნიერო ინსტიტუტების მუშაკთა საერთო კრება, მიძღვნილი „სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხზე“ ხელმოწერისადმი.

309 მეცნიერმა მუშაკმა, რომლებიც ამჟამად ქალაქში იმყოფებიან, პირველ დღეს ხელი მოაწერეს 121.780 მანეთზე, რაც შეადგენს ხელფასის თვიური ფონდის დაახლოვებით 76 პროცენტს.

ხელმოწერამ დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა.

კრებებზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ აკად. მარის სახელობის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ს. ჯანაშია პროფ. ა. ჩიქობავა და პროფ. მ. ნოდია.

ფილიალსა და მის სამეცნიერო ინსტიტუტებში სესხზე ხელმოწერა გრძელდება (საქდესი).

ხელმოწერა მინდვრებზე საკოლმეურნეო ბრიგადებში

2 და 3 ივლისს მინდვრებზე, ბრიგადებში გამართულ მიტინგებზე თბილისის საგარეუბნო რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნენი მხურვალედ მიესალმებოდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას „სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის“ გამოშვების შესახებ.

აქვე, მინდვრებზე, პურის მოსავლის აღებისას დაიწყო ხელმოწერა სესხზე. კოლმეურნეებმა უკვე ხელი მოაწერეს 70 ათასზე მეტ მანეთს.

კოლმეურნეობის სტახანოველებმა ხელი მოაწერეს ოთხას მანეთზე და უფრო მეტ თანხაზე. სტახანოველმა ამხ. მელქაძემ ხელი მოაწერა 850 მანეთზე.

ხელმოწერა კოლმეურნეობაში გრძელდება (საქდესი).

სესხზე ხელმოწერა ფოთში

ფოთი, 5 ივლისი (საქდესი). უდიდესი აღფრთოვანებით, განსაკუთრებული ერთსულოვნობით აწერენ ხელს ფოთის მშრომელები „სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხზე“. 4 ივლისისათვის სესხზე ხელმოწერის საერთო თანხამ ქალაქში მიაღწია 740 ათას მანეთს. ხელმოწერა გრძელდება.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში

მოსკოვი, 5 ივლისი (საქდესი). გუშინ, 4 ივლისს, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომების დარბაზში, შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირის უაღრესად გამოჩენილი პოლარელები, რომელთა სახელი დიდებით არის მოსილი, რომელთა გმირობას იცნობს მთელი მსოფლიო. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ჯილდოებს გადასცემს არქტიკის მამაც მკვლევარებს, ჩრდილოეთის პოლუსის დამპყრობთ, რომლებმაც იქ დაარსეს პოლარული სადგური მოდრეიფე ყინულზე. ექსპედიციის უფროსი ამხ. შმიდტი, ექსპედიციის ფლაგშტურმანი მაიორი ამხ. სპირინი, ექსპედიციის უფროსის მოადგილე ამხ. შეველიოვი, თვითმფრინავ „სსსრ—ნ—172“-ის მეთაური ამხ. ალექსეევი, თვითმფრინავ „სსსრ—ნ—166“-ის მეთაური ამხ. გოლოვინი, თვითმფრინავ „სსსრ —ნ—170“-ის პილოტი ამხ. ბაბუშკინი პირველნი მივიდნენ თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის მაგიდასთან. გულთბილად ულოცავს რა დაჯილდოვებას, იგი თვითეულ მათგანს გადასცემს ლენინის ორდენს, სიგელს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ და ჩეკს ფულადი პრემიის მისაღებად.

დამსწრენი მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის ახალ გმირებს. მისალმებანი ახლდება, როდესაც მიხეილ ივანეს-ძე აძლევს ლენინის ორდენებსა და ჩეკებს საბჭოთა კავშირის გმირებს ამხ. ვოდოპიანოვსა და მოლოკოვს.

ო. ი. შმიდტი ლაპარაკობს ექსპედიციის მონაწილეთა უდიდესი მადლობის, სიხარულისა და სიამაყის გრძნობაზე საბჭოთა ქვეყნისათვის, რომელიც ასე აფასებს თავის ერთგულ და თავდადებულ შვილებს.

— ჩვენ მოხარული ვართ, — აცხადებს ამხ. შმიდტი, — რომ შევასრულეთ სტალინური დავალება. ვაჩვენეთ, თუ რის უნარი შესწევს ჩვენს ქვეყანას. ჩრდილოეთის პოლუსის მიღწევით ჩვენ ჯერ კიდევ არ აგვინაზღაურებია მთელი ის ალერსი და ყურადღება, რომელსაც არ იშურებს ჩვენთვის ჩვენი ქვეყანა. ჩვენ შემდეგშიაც ვიმუშავებთ ჩრდილოეთის ათვისებაზე, ყოველი იმ ამოცანის შესრულებაზე, რომელსაც კი დაგვავალებენ. რაც უფრო მეტ დავალებას დაგვაკისრებენ, მით უფრო ბედნიერი ვიქნებით.

იმაზე, რომ დაჯილდოვებულნი არ დაკმაყოფილდებიან მიღწეულით, არამედ იბრძოლებენ ახალი წარმატებებისათვის, ლაპარაკობენ ამხ. ალექსეევიც და ამხ. ვოდოპიანოვიც. ისინი სიტყვას აძლევენ ამხ. კალინინს და მისი სახით მთავრობასა და ამხანაგ სტალინს, რომ პოლარელები მზად არიან შეასრულონ ყოველი დავალება თავისი დიადი სამშობლოს სასახელოდ.

შემდეგ ჯილდოებს ღებულობენ ექსპედიციის დანარჩენი მონაწილენი: პილოტები, შტურმანები, ბორტმექანიკოსები, რადისტები, სამხედრო ტექნიკოსები, პრესის თანამშრომლები, აგრეთვე ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს მუშაკები ამხ. ბერგავინოვი და იანსონი, ამინდის ბიუროს უფროსი სინოპტიკოსი, სამოილოვი და სხვები.

აქვე სხდომაზე ჯილდოები მიიღო მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა ჯგუფმა.

ორდენების ჩაბარების შემდეგ ამხ. კალინინმა წარმოსთქვა სიტყვა.

შურა ახალაძე
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის სტახანოველი მქსოველი
ფოტო რ. აკოფოვისა.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა, პოლიტმუშაკთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა დაჯილდოვების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

მუშურ-გლეხური წითელი არმიის შენაერთთა, ნაწილთა და დანაყოფთა საბრძოლო, პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში უდიდესი წარმატებისათვის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს დაჯილდოვებულ იქნენ მეთაურები, პოლიტმუშაკები, ინჟინრები და ტექნიკოსები:

ლენინის ორდენით:

1) ბრიგადის მეთაური **დ. მ. კოვალიოვი.**
2) პოლკოვნიკი **პ. ი. ბატოვი.**
3) მაიორი **ე. ვ. ტოიკა.**

წითელი დროშის ორდენით:

1) მაიორი **ბ. ფ. დუდაკოვი.**
2) მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერი **პ. დ. ნევინი.**
3) კაპიტანი **გ. პ. შიმბალოვი.**
4. კაპიტანი **ვ. ი. დუშკინი.**
5) მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერი **ზ. ა. იოფე.**
6) უფროსი ლეიტენანტი **გ. ი. ტხორი.**
7) უფროსი ლეიტენანტი **პ. ი. ზოტოვი.**
8) უფროსი ლეიტენანტი **ე. ე. ერლიკინი.**
9) უფროსი ლეიტენანტი **ბ. მ. ვასილიევი**
10) უფროსი ლეიტენანტი **ვ. ვ. ლევსკი**
11) უფროსი ლეიტენანტი **ს. რ. კასკოვი**
12) ლეიტენანტი **ნ. ტ. პეტრუხინი**
13) ლეიტენანტი **ა. ვ. პლეტიუხინი**
14) ლეიტენანტი **კ. გ. ბარანჩუკი**
15) ლეიტენანტი **ე. ფ. კონდრატი**
16) ლეიტენანტი **პ. ე. აგაფონოვი**
17) ლეიტენანტი **პ. პ. კონდრაშევი**
18) ლეიტენანტი **ნ. პ. ნიკიტინი**
19) ლეიტენანტი **ა. ნ. სუხანოვი**
20) ლეიტენანტი **ფ. ლ. ესკოვი**
21) ლეიტენანტი **გ. ი. სტანპაკოვი**
22) ლეიტენანტი **ა. ვ. მინაევი**
23) ლეიტენანტი **პ. ს. აკულენკო**
24) ლეიტენანტი **პ. ფ. შევცოვი**
25) ლეიტენანტი **პ. ი. ხარ**
26) ლეიტენანტი **ი. ა. ლაკეევი**
27) ლეიტენანტი **ი. ნ. შაროვი**
28) ლეიტენანტი **პ. ფ. კუზნეცოვი**
29) ლეიტენანტი **ნ. ს. არტემევი**
30) ლეიტენანტი **ი. ს. სოლდატენკო**
31) ლეიტენანტი **პ. ვ. პოლიაკოვი**
32) ლეიტენანტი **ფ. მ. პრუცკოვი**
33) ლეიტენანტი **კ. ს. დუბკოვი**
34) ლეიტენანტი **ი. ი. კრავჩენკო**
35) მე-2 რანგის სამხედრო ტექნიკოსი **ა. ი. ხოხლოვი**
36) მე-2 რანგის სამხედრო ტექნიკოსი **მ. ნ. კონდრატენკო**
37) მე-2 რანგის სამხედრო ტექნიკოსი **გ. ი. კლიუკოვი**
38) უმცროსი მეთაური **ტ. ფ. კაპიშინი**
39) უმცროსი მეთაური **დ. ი. ნოვიცკი**
40) უმცროსი მეთაური **გ. ა. სადჩიკოვი**
41) უმცროსი მეთაური **ვ. ფ. კულაბუხოვი.**
42) უმცროსი მეთაური **ვ. ა. მურატოვი**
43) უმცროსი მეთაური **ს. ა. სემიონოვი**
44) უმცროსი მეთაური **ფ. ვ. პეტროვი**
45) უმცროსი მეთაური **ი. პ. შლიაპნიკოვი**
46) უმცროსი მეთაური **ვ. ხ. სავჩენკო**
47) უმცროსი მეთაური **ნ. ს. პოპოვი**
48) უმცროსი მეთაური **ვ. პ. მოგილა**
49) უმცროსი მეთაური **ნ. ვ. ალექსეევი**
50) უმცროსი მეთაური **ფ. ლ. ევტუხოვი**
51) უმცროსი მეთაური **მ. ი. ნაუმოვი**
52) უმცროსი მეთაური **ი. ლ. ნიკიფოროვსკი**
53) უმცროსი მეთაური **ს. ვ. პახომოვი**
54) უმცროსი მეთაური **მ. ბ. ვასენკინი**
55) უმცროსი მეთაური **ი. ი. სემკინი**
56) უმცროსი მეთაური **ვ. ს. ხარიტონოვი**
57) უმცროსი მეთაური **დ. ვ. კოვალიოვი**
58) უმცროსი მეთაური **კ. ს. ვოლოდჩენკო**
59) უმცროსი მეთაური **ს. ა. ვინოგრადოვი**
60) უმცროსი მეთაური **კ. ი. დიადჩენკო**
61) უმცროსი მეთაური **ა. ს. დანილენკო**
62) უმცროსი მეთაური **პ. ვ. ლებადინი**
63) უმცროსი მეთაური **ა. გ. კულგინი**
64) უმცროსი მეთაური **ა. ტ. პუხოვი**
65) უმცროსი მეთაური **ა. ს. მურაშევი**
66) უმცროსი მეთაური **ი. ტ. ხოტიჩი**
67) უმცროსი მეთაური **ი. ნ. ნიკოლენკო**
68) უმცროსი მეთაური **ვ. ი. მუსტეიკისი**
69) უმცროსი მეთაური **ა. ს. საფრონოვი**
70) წითელარმიელი **ს. ლ. ლეგინი.**
71) წითელარმიელი **ვ. ი. გოლიშევი**

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. 1-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსი **ნ. ნ. ტრეტიაკოვი**
2. უფროსი ლეიტენანტი **ნ. მ. ტარსკი**
3. ლეიტენანტი **ა. ა. ნესტროევი**
4. მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერი **ბ. მ. კორობკოვი**
5. მე-2 რანგის სამხედრო ტექნიკოსი **ა. გ. კოკაევი**
6. მე-2 რანგის სამხედრო ტექნიკოსი **მ. ე. ფელდმანი**
7. მე-2 რანგის სამხედრო ტექნიკოსი **პ. ბ. კოშკინი**

„საპატიო ნიშნის“ ორდენით:

1. სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი **ფ. დ. ალექსეენკო.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ნ. ფილატოვი.

მოსკოვი, კრემლი,
1937 წ. 4 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს მიერ პარიზიდან და ლონდონიდან მიღებული ცნობებით)

ცენტრალური ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ნაკრები ცნობების თანახმად, რომელიც 3 ივლისს საღამოთი გამოქვეყნდა, ცენტრალური ფრონტის სხვადასხვა სექტორში თოფისა და ზარბაზნების სროლა იყო.

რეიტერის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტის 4 ივლისის ცნობით, ყველაზე მეტი აქტივობა კარაბანჩელის სექტორში აღინიშნება. ამ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში მომხდარი ბრძოლების შედეგად, რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს კარაბანჩელის ტერიტორიის 2 ათასი კვ. მეტრი და 100 შენობა. რესპუბლიკელთა ჯარების მარცხენა ფრთამ გვადალახარის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ნახევარი კილომეტრით წაიწია წინ.

მდინარე ტახოს სექტორში რესპუბლიკელთა არტილერია ენერგიულად უშენს ყუმბარებს მეამბოხეთა პოზიციებს.

ჩრდილოეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 3 ივლისის საღამოს ცნობით, მეამბოხეებმა ჩრდილოეთის ფრონტის ბისკაის უბანზე იერიში მიიტანეს სან ხულიან დე მუსკესზე და დაიკავეს ეს პუნქტი. რესპუბლიკელთა ჯარებმა გაშალეს კონტრიერიში ვალმასედის სექტორში.

ლეონის პროვინციაში, სან-ემილიანოში დაბანაკებულ მეამბოხეთა არტილერია უშედეგოდ ესროდა ყუმბარებს რესპუბლიკელთა პოზიციებს.

სანტანდერის უბანზე მეამბოხეებმა დაიწყეს იერიში ესპინოსა დე ბრისიასის რაიონში, მაგრამ რესპუბლიკის ჯარებმა უკუაქციეს.

აღმოსავლეთის ფრონტი

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტზე მხოლოდ ტყვიამფრქვევისა და თოფის უმნიშვნელო სროლაა. რესპუბლიკელთა არტილერიამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები მეამბოხეთა ჯარების შეჯგუფებას ალმუდევარში.

○

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობის თანახმად, რესპუბლიკელთა მძიმე ყუმბარმტყორცნების ესკადრილიამ 3 ივლისს დილით ყუმბარები დაუშინა სამხედრო ობიექტებს სალამანკაში. რამდენიმე ყუმბარამ დააზიანა მეამბოხეთა მთავარი შტაბის შენობა. ფაშისტთა 20 თვითმფრინავი დაესხა თავს რესპუბლიკელთა ესკადრილიას, მაგრამ რესპუბლიკელთა ყველა თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზაზე.

ტროცკისტული პოუმი — ერთი მუჭა ბანდიტები

ვალენსია, 3 ივლისი (საქდეპი). ახასიათებს რა ტროცკისტულ ჯაშუშთა ძირგამომთხრელ მუშაობას ესპანეთში „ფრენტე როხო" სწერს:

„ტროცკისტული პოუმი არ არის პარტია. ეს არის ერთი მუჭა ბანდიტები, რომლებმაც თავიანთი „საკონტროლო პატრულებით", წვრილ ბურჟუაზიასა და გლეხობასთან ბრძოლით, ბარსელონის პუტჩით უკვე დაამტკიცეს, რომ ისინი ჰიტლერის სასარგებლოდ მოქმედებდნენ. ახლა ამას დაერთო შეთქმულება, რომელიც ამასწინათ აღმოაჩინეს აშკარა მამხილებელი საბუთებით. პოლიცია მუშაობს იმაზე, რომ გამოაშკარაოს შპიონაჟისა და ღალატის მთელი ქსელი".

დასასრულ გაზეთი სწერს:

„მტერი დაუნდობლად უნდა მოვსპოთ, რათა საფრთხეში არ ჩავარდეს რევოლუციის მონაპოვარნი".

ტროცკისტული პოუმის დაშლის მოთხოვნა

ვალენსია, 3 ივლისი (საქდეპი). ესპანეთის სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა მთავრობას მიმართა მოთხოვნით დაშალოს ტროცკისტული პოუმი და დააპატიმროს მისი ყველა მეთაური. სკოლის მუშაკნი ხაზს უსვამენ თავის მოთხოვნაში, რომ პოუმი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას წარმოადგენს.

ესპანეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

პარიზი, 4 ივლისი (საქდეპი). ესპანეთის სააგენტო ვალენსიიდან გადმოგვცემს კომუნიკეს შინაარსს რომელიც შეეხება ესპანეთის მინისტრთა სხდომას, რაც გუშინ საღამოს შესდგა ნეგრინის თავმჯდომარეობით. როგორც კომუნიკეში აღნიშნულია, „თავდაცვის მინისტრმა ინდალესიო პრიეტომ აღნიშნა, რომ სამხედრო ჯაშუშობასთან ბრძოლის მიზნით აუცილებელია შეიქმნას სამხედრო მეთვალყურეობის სპეციალური დარგი. მთავრობამ მოიწონა ამ დარგის შექმნა. ინდალესიო პრიეტომ სხდომას მოახსენა აგრეთვე დეკრეტის პროექტი, რომლის საფუძველზეც უნდა გარდაიქმნას არმიის მთელი ორგანიზაცია.

შემდეგ მინისტრთა საბჭომ მოისმინა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და განსაკუთრებით ფაშისტურ სახელმწიფოთა პოზიციის შესახებ.

ტრანსპორტის მინისტრმა ილაპარაკა თავის გამგზავრებაზე მადრიდში და იმ ღონისძიებებზე, რომლებიც გატარებულ იქნა დედაქალაქში საქალაქო ტრანსპორტის ორგანიზაციის მიზნით".

გარდა ამისა, მინისტრთა საბჭომ განიხილა დეკრეტები, რომლებიც შეეხება ჯანმრთელობის დაცვას.

სიძნელენი მეამბოხეთა ზურგში

ვალენსია, 3 ივლისი (საქდეპი). მეამბოხეების მიერ დაკავებული ტერიტორიიდან გამოქცეულები ლაპარაკობენ იმ სიძნელეების შესახებ, რომელთაც მეამბოხეები აწყდებიან მოსავლის აღების დროს. მიუხედავად უსასტიკესი რეპრესიებისა, მოსახლეობა ყოველნაირად გაურბის მინდვრის მუშაობაში მონაწილეობას და საბოტაჟს უწევს მოსავლის აღებას. გენერალმა ფრანკომ გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც მოსავლის აღების საბოტაჟში ბრალდებული ყველა პირი განიხილება როგორც მეამბოხეთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლების აქტიური მონაწილე და გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.

მეამბოხენი თავს დაესხნენ ინგლისის გემს

ლონდონი, 4 ივლისი (საქდეპი). გუშინ ესპანეთის ფაბრის სააგენტომ გადმოსცა ცნობა, რომ სანტანდერის ახლოს ინგლისის რამდენიმე გემს თავს დაესხა მეამბოხეთა სამი თვითმფრინავი; თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ყუმბარები, რომლებიც დაეცა ინგლისის გემების ახლოს.

ლონდონი, 4 ივლისი (საქდეპი). ინგლისის საადმირალომ გამოაცხადა, რომ ორმა თვითმფრინავმა ჩამოაგდო ორი ყუმბარა, რომლებიც დაეცა ჩრდილო ესპანეთის სანაპიროსთან ინგლისის ორი საესკადრო ნაღმოსნიდან ერთი მილის დაშორებით. ამასთან დაკავშირებით არავითარ ოფიციალურ ნაბიჯს არ სდგამენ. რამდენადაც ვიცით დასკვნის საადმირალო, ინგლისის საესკადრო ნაღმოსნებს სროლა არ აუტეხიათ თვითმფრინავებისათვის.

ქალაქის ტრამვაის მუნიციპალიზაცია ვალენსიაში

ვალენსია, 3 ივლისი (საქდეპი). ქალაქ ვალენსიის მუნიციპალიტეტმა დაადგინა მოახდინოს ქალაქის ტრამვაის მუნიციპალიზაცია. როგორც ვიცით, აქამდე ტრამვაი შრომის ანარქო - სინდიკალისტური ნაციონალური კონფედერაციის გამგებლობაში იმყოფებოდა.

მუშათა საყოველთაო კავშირის აღმასკომის სხდომა

ვალენსია, 3 ივლისი (საქდეპი). 1 ივლისს მუშათა საყოველთაო კავშირის აღმასკომის სხდომას დაესწრო ლარგო კაბალიერო, რომელიც კვლავ შეუდგა მუშათა საყოველთაო კავშირის გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულებას.

სან-როკეში ჩავიდა გერმანიის ქვეითა ჯარი

პარიზი, 4 ივლისი (საქდეპი). ესპანის სააგენტოს გიბრალტარიდან აუწყებენ, რომ ხერესიდან სან-როკეში ჩავიდა გერმანიის ქვეითა ჯარი 4 ათასი კაცის შემადგენლობით. ხერესში, ეტყობა, თავს უყრიან მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს მეამბოხეთა არმიის შესავსებად.

კატალონიის შეიარაღებულ ძალთა სარდალი გენერალი პოსასი ისმენს რესპუბლიკური არმიის (არაგონიის ფრონტი) ერთერთი ნაწილის უფროსის განმარტებას. ფოტო „სოიუზფოტოსი".

ესპანეთი, ვალენსია

კულტურის დაცვის მწერალთა საერთაშორისო ასოციაციის მეორე კონგრესს

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირი მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის კულტურის დაცვის მწერალთა საერთაშორისო ასოციაციის მეორე კონგრესს.

კონგრესი შეიკრიბა ფაშისტებისა და ინტერვენტების მიერ ალყაშემორტყმულ რესპუბლიკურ ესპანეთში, რომლის ერთგული შვილნი ვაჟკაცურად და უშიშრად იცავენ თავიანთ სამშობლოს შუასაუკუნოებრივი ბარბაროსობისა და ბნელეთის მოციქულობისაგან. მწერალთა საერთაშორისო ასოციაციის კონგრესი ვალენსიაში და მადრიდში — საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია კულტურის დამცველთა ინტერნაციონალური სოლიდარობისა მთელ მსოფლიოში და მათი ღრმა სიმპატიისა გმირი ესპანელი ხალხისადმი. საბჭოთა მწერლები, ისე როგორც სსრ კავშირის ყველა მშრომელი, ხრიან დროშებს გარსია ლორკას და ესპანეთის კულტურის სხვა წარმომადგენელთა ნეშტის წინაშე, რომელნიც დაეცნენ გამხეცებულ ფაშისტურ ურდოებთან ბრძოლაში. სამარადისო სირცხვილი და ზიზღი ესპანელი ხალხის პირისახიან ჯალათებს, ქალთა და ბავშვთა მკვლელებს, ისტორიულ კულტურულ ღირებულებათა გამანადგურებლებს!

საბჭოთა მწერლების კავშირი, ისე როგორც საბჭოების მთელი ქვეყანას, შეურყევლად სწამს კულტურისა და პროგრესის დამცველთა მოახლოვებული გამარჯვება ფაშიზმის ბნელ ძალებზე. საბჭოთა მწერლები მხურვალედ უსურვებენ კონგრესს წარმატებას მის მუშაობაში.

საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით — გ. ლახუტი.

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის დელეგაცია ვალენსიაში

ვალენსია, 3 ივლისი (საქდეპი). ვალენსიაში ჩავიდა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის დელეგაცია, რომელშიც შედიან: ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მდივანი ვოლფი, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური ახალგაზრდობის გენერალური მდივანი გრინი, საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის აღმასკომიდან კაზანოვი, აგრეთვე იტალიისა და შვეციის დელეგატები, დელეგაცია შეხვდა ესპანეთის გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის აღმასკომს და მოწოდებით მიმართა ესპანეთის ახალგაზრდობას.

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის დელეგაცია იყო ესპანეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ჩეკასა, მიხესა და სხვებთან.

საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მეგობრობა

ანკარა, 3 ივლისი (საქდეპი). თურქეთის პრესის ყურადღების ცენტრში დგას საკითხი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ტეფიკ რუშტი არასისა და შინაგან საქმეთა მინისტრის შუქრუ კაიას მოსკოვში ჩამოსვლის შესახებ, რაც უნდა მოხდეს 12 ივლისს. თითქმის ყველა დღევანდელ გაზეთში შეჯამებულია შედეგები და დასახულია პერსპექტივები საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისა.

იუნუს ნადი „ჯუმხურიეტის" მოწინავე სტატიაში სათაურით „საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მეგობრობა" სწერს:

„ჩვენ ჭეშმარიტად უსაზღვროდ კმაყოფილებას განვიცდით იმის გამო, რომ შეგვიძლია ცხადად და მტკიცედ განვაცხადოთ იმ ჩვენი მეგობრული გრძნობების შესახებ სსრ კავშირის მიმართ, რომელნიც არასოდეს შეცვლილან და მატულობდნენ კიდეც მიუხედავად საერთაშორისო ვითარების გართულებებისა...

თურქეთ - საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელიც განუწყვეტლივ ძლიერდება, ცარიელი სიტყვა ან სანტიმენტალური მტკიცება როდია. ეს მეგობრობა ცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს იმ მიზეზებთან ერთად, რომლებმაც ის თავდაპირველად წარმოშვეს".

შემდეგ ხაზს უსვამს ორივე ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობათა მნიშვნელობას საყოველთაო მშვიდობიანობისათვის ბრძოლის საქმეში. ავტორი სწერს:

„სხვებმა რაც უნდა ის იფიქრონ, ჩვენ კი ვრჩებით ჩვენს რწმენაზე, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყანა დასახლებულია დიადი, ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი ხალხით და რომ ამ ქვეყანას საჭიროა სერიოზული ანგარიში გაეწიოს საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებისათვის".

იალმანი გაზეთ „ტანის" მოწინავე სტატიაში, რომელიც მიძღვნილია თურქეთის მინისტრთა მოსკოვში გამგზავრებისადმი, აღნიშნავს, რომ გამგზავრება შუქრუ კაიასი, რომელიც როგორც თურქეთის სახალხო პარტიის გენერალური მდივანი, წარმოადგენს თურქეთის საზოგადოებრივი, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ერთერთ ხელმძღვანელს, კიდევ უფრო აძლიერებს იმ მნიშვნელობას, რომელსაც თურქეთში საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მეგობრობას აძლევენ. „არასის მოსკოვს გამგზავრებას, — სწერს ავტორი, — დიდი ხანია მოელოდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრისა და სახალხო პარტიის გენერალური მდივნის შუქრუ კაიას ერთდროული გამგზავრება კიდევ უფრო ადიდებს ამ დარბაზობის მნიშვნელობას". ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მეგობრობის მნიშვნელობას საყოველთაო მშვიდობიანობისათვის ბრძოლის საქმეში. „ორივე ქვეყანამ, — აცხადებს ავტორი, — შესძლო მოკლე ვადაში დაეკავებინა საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებისათვის ნამდვილი სამსახურის პოზიცია. სსრ კავშირი და თურქეთი სხვა ქვეყნებზე გვიან შევიდნენ ერთა ლიგაში, მაგრამ მათ უფრო მეტად შეითვისეს ერთა ლიგის სული, ვიდრე ლიგის ბევრმა ძველმა წევრმა, და ყოველი საბაბის დროს იჩენდნენ გულწრფელ მისწრაფებას იმისადმი, რომ ეს სული მთელს მსოფლიოში დანერგილიყო".

აზიმ უსი გაზეთ „კურუნის" სარედაქციო სტატიაში ხაზს უსვამს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირისა და თურქეთის სტაბილურ მეგობრულ დამოკიდებულებასა და ეგრეთწოდებულ „კონიუნქტურულ მეგობრობათა" შორის; აღნიშნავს, რომ მძიმე მომენტებში საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მეგობრობის ძალა და ღირებულება მატულობს. „თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ინტერესები, — სწერს ავტორი, — არაფერში არ ეჯახებიან ერთმანეთს, უფრო მეტი, ამ ქვეყნებს შორის არსებობს შეხედულებათა სრული ერთიანობა ევროპაში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ. საბჭოთა კავშირისა და თურქეთის თანამშრომლობა წარმოადგენს დამოუკიდებელ ღირებულებას მშვიდობიანობის საქმისათვის თანამედროვე ევროპაში. ჩვენ სინდისისა და კაცთმოყვარეობის მოვალეობად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ამ ჭეშმარიტებას, რომელიც დადასტურებულია მრავალი რეალური მაგალითით".

თურქეთის მინისტრების მომავალი ჩამოსვლისათვის მოსკოვში

ანკარა, 4 ივლისი (საქდეპი). დღეს ყველა თურქულ გაზეთში თვალსაჩინო ადგილზე მოთავსებულია მრავალი სურათით ილუსტრირებული ცნობა სსრ კავშირში თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის შუქრი კაიას გამგზავრების შესახებ. მინისტრი გააცილა თურქეთის პრემიერმა ისმეთ ინენიუმ. გაზეთებში დიდი ადგილი უკავია აგრეთვე ცნობას, რომ თეირანიდან მოსკოვს გამგზავრება თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თეფიქ რუშტი არასი. თეირანში დღეს იმართება ზეიმი იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის, ირანის, ერაყის და ავღანისტანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს აღმოსავლეთის ოთხი ქვეყნის თავდაუსხმელობის პაქტს.

ეხება რა თურქეთის მინისტრების მოსკოვში გამგზავრებას, გაზეთი „სონ პოსტა" სწერს:

„თურქ ხალხს ამჟამად უკეთ, ვიდრე როდისმე, ესმის, რომ თურქეთის ახალგაზრდა რესპუბლიკის შინაგანი ძალები და ის ადგილი, რაც მან ხალხთა შორის დაიკავა, წარმოადგენენ იმ მადლიანი პერიოდის ნაყოფს, რომელსაც დასაბამი მისცა საბჭოთა კავშირთან მეგობრობამ. თურქეთმა, მას შემდეგ, რაც იგი სსრ კავშირის მეგობარი გახდა, გააბა მეგობრობა მრავალ სხვა ქვეყანასთანაც. ყოველივე ამან ერთად აღებულმა შესაძლებლობა მისცა თურქეთის ახალგაზრდა რესპუბლიკას ეწარმოებია დამოუკიდებელი და გარეშე გავლენისაგან თავისუფალი პოლიტიკა. თურქეთის რესპუბლიკას რომ არ ჰქონოდა ეს ყველაზე ძველი მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, მეტად ძნელი, შესაძლოა შეუძლებელიც იქნებოდა ახალი მეგობრობის შექმნა. ამ თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ თურქეთის მთელი შემდგომი მეგობრული კავშირურთიერთობის გამოსავალი წერტილი ეს პირველი და ყველაზე ძველი მეგობრობაა სსრ კავშირთან".

პროფ. ივ. ჯავახიშვილი

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია

ილია ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. მაგრამ ჩვენს დაუვიწყარ მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისით და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა...

როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგეგმოდ წარმოებული კვლევა-ძიებაა ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი მიმბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. პირველი დამაღონებელია თავისი უსისტემობითაც და თანაც არც გულსა და არც გონებას არას ეუბნება. მეორემ კი, თუმცა შესაძლებელია გამოუცდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოხიბლოს, მაგრამ მავნებელია იმდენად, რამდენადაც წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სურათის მაგიერ რეალურ შინაარსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც.

ჩვენში წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის ისტორიოგრაფია ბატონობდა რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა. აი, მაგალითად, რას ამბობდა ილია ჭავჭავაძე 1880 წ.:

„ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და თუ არის კანტიკუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვო. ... ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტის თაობაზე, რომელშიაც ერთობ **ხალხი იჩენს თავის თავს, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობას ისტორიაში. ერთი სიტყვით, ჩვენის შინაცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილში მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია.** თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთაო".

სწორედ ასეთი უსისტემო და უმეთოდო ისტორიის საწინააღმდეგოდ 1889 წ. «Северный Вестник»-ში („ჩრდილოეთის მოამბე") ნ. დ.-ს ფსევდონიმით ივ. ჯაბადარის წერილები გამოქვეყნდა საქართველოს შესახებ («Письма о Грузии»). ავტორი იქ, მისივე განცხადებით, საქართველოს ისტორიაზე ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით მსჯელობდა. ამ თავის წერილებში, ვითომც სწორედ ამ ორი მძლავრი მეთოდით აღჭურვილმა საქართველოს ისტორიაც განიხილა და მისი წარსულის შეფასების შემდგომ, თავისი მსჯავრიც დასდო. მაგრამ, საფუძვლიანი, დინჯი კვლევა-ძიების მაგიერ, ივ. ჯაბადარის წერილებში სწორედ ისეთი სქემატიზმი აღმოჩნდა, რომელიც ავტორის სრული მოუმზადებლობის გამო, მთლიანად მცდარი გამოდგა. ამისდა მიუხედავად, მაინც, ვითარცა თითქოს ისტორიის უმაღლესი და მკვეთრი მეთოდებით მომარჯვებული ადამიანის ნაშრომებისა და ნასიბრძნეს, ქართული საისტორიო წყაროების უცოდინარსა და გამოუცდელს ჩვეულებრივ მკითხველზე ივ. ჯაბადარის კატეგორიულს დასკვნებს დიდი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო. ხოლო, რამდენადაც მთელი მისი მსჯელობა თავაშვებული ნიჰილისტური მსოფლმხედველობით იყო გამსჭვალული, იგი მკითხველს დიდს ვნებას მოუტანდა. ამიტომაც ივ. ჯაბადარის წერილების უყურადღებოდ და განუხილველად დატოვება არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ეს უპირველესად ქართველ ისტორიკოსთა მოვალეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაკი ისინი სდუმდნენ, ვითარცა ქართული საზოგადოებრივი აზრის მესაჭეს, ისტორიკოსის მოვალეობის ასრულებაც უნებლიედ ისევ ილ. ჭავჭავაძეს მოუხდა. მან ივ. ჯაბადარის ნაშრომი ვრცლად განიხილა თავის წერილებში, რომელთაც სათაურად „აი ისტორია" უწოდა. ფრიად საგულისხმოა, თუ როგორ მოეპყრო იგი ამ საქმეს და რა გააკეთა მან ამ დარგში.

რაკი ილ. ჭავჭავაძეს ისტორიის უაღრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდა და შეგნებული ჰქონდა, ცხადია, მას არ შეეძლო საქართველოს წარსულის სავალალო მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიექცია და მართლაც ჩვენს დიდებულს მგოსანსა და პუბლიცისტს წინათაც და შემდეგშიც არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუნებებია და ისტორიული კვლევა-ძიების საკითხში ჩარეულა.

ვინც ილ. ჭავჭავაძის ამ დარგის საკმაოდ მრავალრიცხოვან წერილებს გულდასმით გადაიკითხავს, მას საშუალება ექმნება, როგორც მისი კონცეპციები გამოარკვიოს ისტორიის ზოგადს საკითხებზე, ისევე ისიც გაითვალისწინოს, თუ რა წვლილი აქვს ილ. ჭავჭავაძეს საქ. ისტორიის შესწავლაშიც შეტანილი.

ივ. ჯაბადარის უკვე ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობის გამომჟღავნებელი იყო. იგი დრეპერის ოდესღაც გავრცელებულს აზრს ემყარებოდა, ვითომც ყოველ ერს, თავისი ბავშვობისა, ყრმობისა და ჭაბუკობის შემდეგ, აუცილებლად სიბერე ეწეოდეს ხოლმე. ამიტომ იყო, რომ ჯაბადარს ერთს თავის წერილთაგანში ნათქვამი ჰქონდა: მართალია, თუ არა, რომ ქართველი ერი უკვე მოხუცებულია და ღონე გამოელია, თუ მას ჯერ კიდევ სრული ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყია და თავისი ძალღონე მერმისათვის შეუნახავსო? და თითონ პასუხს აძლევდა მკითხველს: არა, ჯერ ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყიაო.

ილ. ჭავჭავაძე ამ მცდარსა და ასე უცნაურად გამოთქმულ დებულებას სასტიკად შეებრძოლა. იგი ირონიულად ამბობდა:

„ავტორი (ე. ი. ჯაბადარი) მერე დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიური ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვიხაროდეს!) ღონე შეგვინახავს მერმისისათვისო" (ტ. V, გვ. 8.). ასეთი რამის თქმა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც სწამდა, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება ღონისაგან სცლის ერსა", ე. ი. ასუსტებს, აუძლურებს, ხოლო „არაინტენსიური ცხოვრება კი ანახვინებს ძალას მერმისისათვისო" (იქვე). ამაზე ილ. ჭავჭავაძე სამართლიანად სწერდა:

„დღეს — აქამომდე გვეგონა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვით, დასარჩობი ფონი კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილაო". აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ „ბედნიერი ერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიური ცხოვრების მაცდურობას არ აჰყოლია, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვისო" (გვ. 9).

ეს მოძღვრება ილ. ჭავჭავაძეს სლავიანოფილების მსოფლმხედველობის ანარეკლად მიაჩნდა: „ესეც გამოვიდა სლავიანოფილების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულიაო" (ტ. VIII, გვ. 11).

ჩვენმა დიდებულმა მოღვაწემ ამ მოძღვრებას თავისი შემდეგი მსჯელობა და რწმენა დაუპირისპირა:

„ინტენსიური ცხოვრება ერისა-და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია, კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისათვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გაიჯიქდეს არსებობისათვის საჭიროდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედიაო" (ტ. V, გვ. 9). „ღონე შეინახება მერმისისათვისო, გვანუგეშებს ავტორი". კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა ჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. რა ოხრობისათვის ღაა საჭირო, რიღას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავ ინტენსიურ ცხოვრებისათვის. თუ ასეა, ან თითონ ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლურებს" (იქვე, გვ. 10).

ასეთ სქემატიზმსა და გაზეპირებულ აზრებს ილ. ჭავჭავაძემ სულ სხვანაირი შეგნება დაუპირისპირა. მაგრამ ილ. ჭავჭავაძე ასეთ აკვიატებულ აზრს რომ წინაღუდგა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ისტორიის ღრმად გაშუქება არ ენატრებოდა. მისთვისაც ისტორია მარტო ფაქტების გროვა არ იყო. მას ისტორიული პროცესის საძირკველი და მამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ — მოვლენათა შეფასებაც, ამასთანავე მისი რწმენით, მთავარი ყურადღება შინაგანს, ე. ი. სოციალეკონომიურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიქცეოდა.

ნამდვილი ისტორიკოსის მოვალეობა, ილ. ჭავჭავაძის რწმენით, იმაში მდგომარეობს, რომ რაკი „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო რჩეულ კაცებისა, ამიტომაც „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ესე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდაც მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლაო" (იქვე, გვ. 66). აქვე ჩვენი ავტორი სამართლიანად უმატებს: „ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისაო".

საისტორიო მეცნიერებაში ამას ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობა ეწოდება და, მართლაც, ცხადია, რომ უამისოდ წარსულის არც ერთ შეფასებას ღირებულება არ ექნება.

თუ რა გარემოებას აქცევდა ყურადღებას ილ. ჭავჭავაძე ისტორიული პროცესის დროს და რა საფუძვლის გამორკვევა მიაჩნდა საჭიროდ მოვლენათა გასაგებად, ამას მისი ერთი საყურადღებო წერილი გვაგებინებს.

1880 წელს დაბეჭდილს წერილში ილ. ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულებით უცნობი თვალსაზრისით მიუდგა. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წარსულში „არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია" (გვ. 201). „ყველამ იცის, რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისი ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედ-მიყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად". თითქმის მთელი თავისი ისტორიული არსებობის დროს საქართველო იარაღით ხელში იდგა, „რადგან მტერი თითქმის ყოველ მხრიდან მოწოლილი იყო" (გვ. 202). ყველანი აქ მხოლოდ გულადობითა და გრძნობით იყვნენ აღტაცებულნი. მაგრამ არავის ფიქრად არ მოსვლია ამ საგულისხმო მოვლენას ღრმად ჩაჰკვირვებოდა. ილ. ჭავჭავაძე კი აქაც საქართველოს ისტორიას სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა და საჭიროდ სცნო სულ სხვა მხრით გაეშუქებინა.

„ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა", ნათქვამი აქვს მას ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინათ, ეს კიდევ თუნდაც არაფერი იყოს უმთავრესად „საკვირველი ეს არის, — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძლებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ ალგვილიყო და საზრდოობას ვინ აძლევდა და რა აძლევდაო?" კითხულობდა ჩვენი დიდებული მგოსანი და სახელოვანი ქართველი პუბლიცისტი (გვ. 202).

როგორც ხედავთ საქართველოს ისტორიის ასეთ გაშუქებაში ილ. ჭავჭავაძეს პირველობა ეკუთვნის და ამ მხრითაც ის დიდი ღვაწლი მიუძღვის, რომ მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალ საუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა. საქართველოს ისტორიოგრაფიას მის დროს არამც თუ ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის თავგადასავლის გაშუქება აზრადაც არ მოსვლია, ის მაშინ იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ, ასეთი საკითხის წამოყენების შემდგომაც, პასუხის გაცემა ვერავინ შესძლო. ილ. ჭავჭავაძემ ეს გარემოება, ეს უმწეობა თითონაც კარგად იცოდა და ამიტომაც იქვე დამატებული აქვს:

„ყოველს ამა საგანზე უეჭველი და გულდასმითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხელს ვერაფრით შეგვიწყობს, ერთს იმისთანას ვერას გვანიშნებს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამის პასუხი ჩვენს ეკონომიურ აგებულებას და წყობაში უნდა მოინახებოდეს: უეჭველია, ჩვენი წინანდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონია ის ქონებითი ძალღონე, რომლითაც იგი გასძლოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაშიო" (იქვე).

ეს პრობლემა ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ამოცანად აქვს აღიარებული. ის ამბობს: „აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინა ჰქონდეს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდაო" (გვ. 202-208).

მაგრამ ილ. ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ საკითხზე რომ პასუხის გამცემი მაშინ საქართველოში არავინ იყო, ეს მას სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა და, რაკი საქმე ასე იყო, თვითონვე სცადა შეძლებისამებრ ამ საგულისხმო და დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესახებ თავისი მოსაზრება გამოეთქვა. თუმცა „ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შევსდგომოდით, ამისათვის არც მომზადება გვაქვს, არც საჭირო წყაროო", ამბობდა იგი, და მხოლოდ „ფიქრად მოგვდის ორიოდე აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი და ვგონებ მეტი არ იყოს ის ორიოდე აზრ

თბილისი. საერთაშორისო საძინებელი ვაგონების გამყოლთა რეზერვის მთელი კოლექტივი ჩაბმულია ტექსწავლებაში. 93 გამყოლი დანიშნულ დღეებში გადის ტექმინიმუმს გამოცდილ სპეციალისტ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით. სურათზე: მეცადინეობა ტექმინიმუმში. გამყოლთა უფროსი ამხ. ლეჟავა უხსნის მსმენელთ ვაგონის ზესადგარის მოწყობილობას მაკეტის მიხედვით.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

მზადება სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

კოლმეურნეობათა შეჯიბრება

საუბარი ტელეფონით საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივან ამხ. პ. ბუაჩიძესთან

„კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში ამხ. ბუაჩიძემ განაცხადა:

— საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის დადგენილება, დამტკიცებული სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ, დავამუშავეთ სარაიონო თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, ბრიგადირები, სპეციალისტები. ამ დადგენილებას ვიხილავთ კოლმეურნეობათა პირველადს პარტორგანიზაციებსა და საერთო კრებებზე, რათა გამოფენაში მონაწილეობის პირობები საფუძვლიანად გავაცნოთ კოლმეურნეებს.

დადგენილების გაცნობამ კოლმეურნეობათა და სპეციალისტთა შორის დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია. უკვე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება გამოფენის კომიტეტის დადგენილებით დაწესებულ მაჩვენებელთა უეჭველად გადამეტებით შესრულებისათვის. რამდენიმე კოლმეურნეობა და ბრიგადა და ცალკე კოლმეურნეები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებელთა მისაღწევად. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ ნაკისრი ვალდებულებანი მთლიანად გავანაღდოთ.

მტს აქტიურად ჩაება ამ საქმეში. აქ სატრაქტორო ბრიგადებში მუშავდება საკავშირო სას.-სამ. გამოფენის დადგენილება.

ყველაფერი ეს ამ დიდი საქმის დასაწყისია. მოგველის დიდი მუშაობა. ეს კარგად აქვს გათვალისწინებული რაიონის პარტიულ ორგანიზაციას. სისტემატურად გავწევთ მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, რათა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავაბათ ყველა კოლმეურნეობა, ყველა კოლმეურნე.

საჭიროა აგრეთვე საქმიწსახკომთან არსებულმა გამოფენის კომიტეტმა უფრო ცოცხალი კავშირი დაიჭიროს ადგილებთან. ჯერჯერობით ამ მხრივ გამოფენის კომიტეტი სრულ უმოქმედობას იჩენს. იგი ადგილზე მიმოწერის დაგზავნით კმაყოფილდება. მაგრამ მარტო ეს საქმეს არ შველის.

სტახანოვური მოძრაობის ახალი აღმავლობა

საუბარი ტელეფონით საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივან ამხ. აზარაშვილთან.

ამხ. აზარაშვილი: ადგილებზე უკვე გავაჩაღეთ განხილვა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის დადგენილებისა, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ. 2 ივლისს მოვიწვიეთ თათბირი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტექიმებისა და ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა. თათბირზე მათ გავაცანით ის მიზნები და ამოცანები, რომელთაც გამოფენა ისახავს. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის დადგენილების გაცნობამ კოლმეურნეებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია.

— როგორ არის გაშლილი სამზადისი საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში?

ამხ. აზარაშვილი: ამ დღეებში მოწვეული იქნება თათბირი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირებისა და ფერმის გამგეების მონაწილეობით. ამის შემდეგ ყველა კოლმეურნეობაში შესდგება პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები და საერთო კრებები. ჩვენი ამოცანაა საფუძვლიანად გავაცნოთ კოლმეურნეებს გამოფენაში მონაწილეობის მიღების მაჩვენებლები.

— რაიკომის ბიუროზე თუ განიხილეთ ეს საკითხი?

ამხ. აზარაშვილი: დიახ, განვიხილეთ. რაიკომის ბიურომ დაამტკიცა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ სას.-სამ. გამოფენის კომიტეტის დადგენილების განხორციელებას. რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები მივამაგრეთ სასოფლო საბჭოებზე. ამოცანად ვისახავთ გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავაბათ ყველა კოლმეურნეობა, კოლმეურნე, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი.

— როგორ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს ადგილებს საქმიწსახკომთან არსებული გამოფენის კომიტეტი?

ამხ. აზარაშვილი: შეიძლება ითქვას, რომ გამოფენის კომიტეტი მოწყვეტილია მასებს. იგი ჯერჯერობით არავითარ დახმარებას არ გვიწევს.

სახალხო მოსამართლის ანგარიშგება

ამხ. ვ. მანჯგალაძის მოხსენება ბოლშევიკური კრიტიკის ქარცეცხლში

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადება უკვე დიდიხანია დაიწყო. იუსტიციის ორგანოები და საბჭოთა საზოგადოებრიობა ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს დიდის პასუხისმგებლობით ეკიდება. ამჟამად საქართველოში გაცხოველებით მიმდინარეობს სახალხო მოსამართლეთა ანგარიშგება. მოსამართლენი მომავალ ამომრჩევლებს აცნობენ სასამართლო ორგანოების როგორც ნაკლს, ისე მიღწევებს.

ქალაქ თბილისის რაიონებს შორის ამომრჩევლებს პირველად ანგარიში ჩააბარა სტალინის რაიონის სახალხო მოსამართლემ ამხ. ვ. მანჯგალაძემ. 3 ივლისს თამბაქოს ფაბრიკაში მუშათა მრავალრიცხოვან კრებას ამხ. მანჯგალაძემ ვრცლად გააცნო სტალინის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაობა. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მოხსენება არ იყო თვითკრიტიკული. მომხსენებელმა საგამომძიებლო და მილიციის ორგანოების მუშაობის ნაკლზე უფრო მეტი ილაპარაკა, ვიდრე სასამართლოში არსებულ ნაკლოვანებებზე. მაგრამ ეს დანაკლისი კამათში გამოსულმა ორატორებმა შეავსეს.

როგორც კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, სტალინის რაიონის სახალხო სასამართლოს უმთავრეს ნაკლს წარმოადგენს გასარჩევი საქმეების დაგროვება. ამჟამად სასამართლოში ორიათასამდე გასარჩევი საქმეა, ამ საქმეების უკან დგანან ცოცხალი ადამიანები, რომლებიც ვინ იცის რამდენჯერ მიუვლან სასამართლოში, მაგრამ რა პასუხი უნდა მიიღოთ, როცა საქმე კანცელარიის მაგიდას არ გასცილებია. ამ საქმეების დაგროვება გამოწვეულია მოსამართლეთა სიმცირით. სტალინის რაიონში, ნაცვლად 5-ისა, ორი სახალხო მოსამართლე მუშაობს.

სახალხო მსაჯულებთან მუშაობას ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, მოსამართლეები ვერ ხელმძღვანელობენ მათ. 360 სახალხო მსაჯულიდან მხოლოდ 60 კაცს აქვს ჩაბარებული ტექმინიმუმი. თამბაქოს ფაბრიკაში 40 სახალხო მსაჯულია, მაგრამ სასამართლოს ერთხელაც არ მოუწვევია მათი კრება. კამათში გამოსული მსაჯულები სამართლიანად გამოსთქვამდნენ უკმაყოფილებას, რომ ზოგიერთ მოსამართლეს დადგენილება, ნაცვლად სამი დღისა, 7—10 დღის შემდეგ გამოაქვს. მაგალითისათვის მათ დაასახელეს თვით მომხსენებელი ამხ. მანჯგალაძე და სხვ.

აღმასრულებლები სასამართლოს მუშაობაში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენენ. მათზე დიდად არის დამოკიდებული სასამართლოს დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება. მაგრამ თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ყველა აღმასრულებელი როდი ასრულებს. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ორატორებმა მოიყვანეს მრავალი აღმაშფოთებელი ფაქტი. აღმასრულებელი ჯანაშია დაუდევრად ეკიდებოდა თავის მოვალეობას. ის წარმოება-დაწესებულებების საქმეების გამო გამოტანილ დადგენილებებზე უფრო ჩქარა კერძო პირების საქმეებს ასრულებდა, რადგან მათგან ფულს ღებულობდა. ასევე იქცეოდნენ დავითაშვილი და კანკავა. ეს უკანასკნელი შესრულებული საქმეებისათვის ცალკე გასამრჯელოს ღებულობდა.

დანაგვიანებულია დამცველთა კოლეგია. დამცველები ნემსაძე და მურავიოვი (ჯინჭველაშვილი) პროცესზე ხულიგნურად იქცევიან. საქმის განხილვის დროს მათ ჩხუბი ასტეხეს და ერთმანეთის საცემრადაც კი წაიწიეს. დამცველი მ. ღვამიჩავა კლიენტებს დიდ თანხებს ართმევს, ხოლო პროცესზე გამოსვლას გაურბის. ღვამიჩავას ასეთი მოქმედება უკმაყოფილებას იწვევს ხალხში.

კამათში გამოსულმა ორატორებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ სტალინის რაიონის სახალხო სასამართლო არავითარ დახმარებას არ უწევს საწარმოო საამხანაგო სასამართლოებს, არ სინჯავს მათ დადგენილებებს და დაინტერესებული არ არის მათი მუშაობით. მომავლისათვის ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. გარდა ამისა, კამათში გამოსულმა ამხანაგებმა (აბრამიანი, არუთინოვა და სხვ.) საფუძვლიანად გააკრიტიკეს სასამართლოს კანცელარიის მუშაობა. სტალინის რაიონის სასამართლოს კანცელარიაში იკარგება საქმეები და თანამშრომლები უდიერად ეპყრობიან ხალხს.

სასამართლოში ხშირია საქმეების გარჩევის გაჭიანურება. მაგალითად, მოქ. ვენეცკის შარშან მოუკლეს ქალიშვილი, მაგრამ მკვლელთა საქმე დღესაც არ გაურჩევიათ. ეს გამონაკლისი შემთხვევა როდია. სტალინის რაიონის სასამართლოში ადგილი აქვს საქმეების გარჩევის გაჭიანურებას და პროცესუალური ნორმების უხეშად დარღვევას. ალიმენტების შესახებ საქმის განხილვა, ნაცვლად 7 დღისა, ორ-სამ თვეს ჭიანურდება.

ამხ. ვ. მანჯგალაძეს ანგარიშგებამ საინტერესოდ ჩაიარა. საანგარიშო კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქ. იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. ვ. მეტონიძე, უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ისაკაძე და სპეცკოლეგიის თავმჯდომარე ამხ. თათუზოვი.

მიუხედავად არსებული ნაკლისა, სტალინის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაობა საბჭოთა მართლმსაჯულების დაცვის საქმეში კრებამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

◆ ◆ ◆

რაიაბრეშუმი სუსტად მუშაობს

(ფოთი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

აბრეშუმის პარკის დამზადება 29 მაისს დაიწყო. მიმღებ პუნქტს პარკი პირველმა ჩააბარა ჭალადიდის კოლმეურნემ საშა არჩაიამ. მან ნახევარი კოლოფი თესლიდან 36 კილოგრამი მიიღო. ეს გამონაკლისი როდია. სტახანოველი მეაბრეშუმე ქალები პარკის უხვ მოსავალს ღებულობენ.

მაგრამ დამზადებაში ყველაფერი რიგზე არ არის. რაიაბრეშუმი (გამგე ამხ. თოთაძე) სუსტად მუშაობს. პარკის მიმღები პუნქტებისათვის გამოყოფილი შენობები უვარგისია, შიგ სისუფთავე დაცული არ არის. მეაბრეშუმეთა კულტმომსახურება მივიწყებულია.

სოფლებიდან ჩამოსულ მეაბრეშუმეებს დილიდან საღამომდე უხდებათ ლოდინი პარკის ჩაბარებისათვის. რაიაბრეშუმი ამას ანგარიშს არ უწევს.

გრ. გოლქვაძე

შალვა ბუხაიძე

ჩაის მკრეფავი ქალი

აქ ლაჟვარდს ხვდა დიდი ჯაგნარი,
ჩახერგებული და მიუვალი.
ჩაის ტალღები ვნახეთ ჩამდგარი —
ბედნიერ შრომის უშლელი კვალი.

აღიდებულან ნაზი ზვირთები
და შესევიან ლიმილით სერებს,
ვხედავთ გარემო როგორ ირთვება,
მაგრამ სურათი ერთი მაჩერებს.

კალათს თან მისდევს სავსე კალათა,
ქორფა ფოთლების მწვანე ჩანჩქერი.
ბუჩქიდან ქალმა ამოანათა,
არა ბულბული—ეს ქალი მღერის.

ეს ქალი მღერის ართქმულ სიმღერას,
გადმოდის ბუჩქზე წამწამთა ჩერო.
მზე დაჰფენია მის მართალ კერას,
და სურს ხალისით მზეც შეაჩეროს.

ბუჩქს მისდევს ბუჩქი დაუწვეველი,
ლუღუნებს გული ფარფატფრთიანი,
მოქნილ თითების და ნაზ დუყების
ისმის ტკაცანი ბარაქიანი,
აღარ ჩადგება, არც მიყუჩდება
ქალის სიმღერა ერთობ ხმიანი,
სუნნელოვანი, ნედლი, რძიანი.

ჩაის ყოველ ძირს ეალერსება
ქალი მკრეფავი როგორც დობილი
გულში გამდგარი ნაყარ ფესვებით
ფშვინავს შრომაში ბუჩქი შობილი.

სდგას გადაშლილი ვით მზესუმზირა,
ვით ნისლაცლილი რიჟრაჟი დილის,
ჩაის ბუჩქის ქვეშ მიწაზე გრილა —
ვეფხვის რძით არის ქალი გაზრდილი.

შადრევანია ბუჩქი ყოველი
ჩვენი სამშობლოს ნანატრი ყოფის.
რა დაჩითულა სერი და ველი,
დადეგ, დახატე თუ ფერი გყოფნის...

◆

სახრავი იყოს, და იასონი სახელს არ დაეძებს

(ქუთაისი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

მეტად რთული და საეჭვო გზა გაუვლია იასონ ჯაიანს. სანამ 1925 წელს ა.-კ. რკინიგზის ქუთაისის კოოპერაციაში ამოჰყოფდა თავს, ამბობენ, ძველად სპირტს ეპაჩრობდაო; ოხრანკას წინაშეც უნდა მიუძღოდეს საკმაო „ღვაწლი“. ჩვენთვის ახლა უფრო საინტერესოა იასონის საქმიანობა რკინიგზის კოოპერაციაში.

იასონი იქ მალე დაწინაურდა. გაძვრა—გამოძვრა, ბუღალტრული მოიშველია და რკინიგზის კოოპერაციის ქუთაისის განყოფილების რწმუნებულად მოექცა. თანამდებობა გამოიყენა: კოოპერატივებიდან უფასოდ მიაქონდა საქონელი. სასადილოები, რომელსაც ლოდია განაგებდა იასონი წრფელად ხელგაშლილი იყო. არა მარტო თვითონ ეძღობდა მუქთად, არამედ, ძმაბიჭებსაც ხშირად უმასპინძლდებოდა.

იასონი ამას წინათ როგორღაც ჩამოაქვეითეს და რწმუნებულობის ნაცვლად მხოლოდ ერთი მაღაზიის გამგეობა დააკისრეს. მაგრამ იგი სრულებითაც არ შეუწუხებია. „სახრავი იყოს, და სახელი რა ჯანდაბად მინდაო“, — ფიქრობდა.

სახრავი კი ბლომად ჰქონდა იასონს. [illegible] „თვითინიციატივით“ შექმნა ბოროტმოქმედებათა მოხერხებული შირმა იყო. ნავაჭრს ჩვეულებრივად დახლში სტოვებდა. 28 იანვარს მაღაზია „გასტეხეს“ და თანხაც ბლომად „დაიკარგა“. საეჭვო კი არის მაგრამ ჯაიანი ასე ირწმუნება...

ჯაიანი თავიდანვე როგორღაც საეჭვოდ დაუკავშირდა ახალ რწმუნებულს, პროკოფი კალანდაძეს. ისინი შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ. კალანდაძემ ერთხელ სარდაფიდაც 6000 ცალი პაპიროსის ქაღალდი ჩამოუტანა ჯაიანს. უკანასკნელმა კი იგი თითო 40 კაპეიკად გაჰყიდა და აღებულა ფული ხელზე ჩააბარა კალანდაძეს.

სამაგიეროდ კალანდაძეც ხელს უწყობდა ჯაიანს. მისი კარნახით ხსნიდა და ნიშნავდა მუშაკებს. საკანდიტროს გამგე შ. კაჭკაჭიშვილი და სასადილოს გამგე რ. კილურაძე უდანაშაულოდ მოხსნეს. სასამართლოს დადგენილებით კაჭკაჭიშვილმა უკვე მიიღო მთელი განაცდური და ახლა სხვაგან მუშაობს. ასევე კილურაძეც აღადგინა ქუთაისის სასამართლომ თავის ადგილზე. განაჩენი უზენაესმა სასამართლომაც დაადასტურა. განაცდური (3 თვისა და 20 დღის) უკვე მიღებული აქვს, მაგრამ რატომღაც ადგილზე არ აბრუნებენ. განაცდურები მიღებული აქვს ბევრ სხვა უდანაშაულოდ მოხსნილ მუშაკსაც.

ჯაიანის მოქმედების შესახებ ორჯერ დაიწერა რაიონულ გაზეთში, მაგრამ... ამაოდ!

ეგ. გვასალია.

მკერავთა ცენტრალური საგამომჭრელო ფაბრიკის სტახანოველი გამომჭრელი ლ. სარქისოვი სჭრის თარგს მანქანა „ამერიკანკაზე“.

ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

◆

უმსგავსოებანი ჩაის კრეფაში

(წერილი ლანჩხუთიდან)

ლანჩხუთის რაიონის მამათის ჩაის ფაბრიკა ჩამორჩა ჩაის გადამუშავების გეგმების შესრულებაში. მაისის გეგმა 83 პროცენტით შესრულდა. ეს სამარცხვინო ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ მამათის ლ. ბერიას სახელობის და მახარაძის რაიონის ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობებმა ვერ უზრუნველჰყვეს ფოთლის დროული და წესიერი კრეფა. სამარცხვინოდ ჩამორჩა ძიმითის კოლმეურნეობა. მან მაისის გეგმა 78,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო მამათმა—88,9 პროც. ჩამორჩენის მიზეზად ასახელებენ უამინდობას, ფოთლის მოსავლიანობის შემცირებას. მაგრამ ეს მხოლოდ ლაყბობაა.

ს. ძიმითის აგრონომმა ჯანელიძემ ჩაშალა ჩაის ყოველგვარი სამუშაოები.

აგრონომ მგელაძეს ჰგონია, რომ თუ პლანტაციებში სარეველა ბალახი მძლავრად არ არის მოდებული, ისე გათოხნას არ საჭიროებს.

მამათის ჩაის ფაბრიკა არ ღებულობს ზომებს ჩამორჩენის აღსაკვეთად. მთელი ოცი დღის განმავლობაში ფაბრიკა დაუტვირთავი იყო. ფოთლის დამზადების უფროსი ამხ. ფაქსაშვილი ამოწმებს პლანტაციებს, სახავს ახალ ღონისძიებებს, ადგენს მოხსენებითი ბარათებს, მაგრამ საქმის პრაქტიკული შედეგი არა სჩანს. ადგილზე მომუშავენი კმაყოფილდებიან მოხსენებითი ბარათების წერით და ამით „მოვალეობას“ იხდიან.

ივ. შევარდნაძე

მკითხველსაც გაუზიაროთო“ (იქვე, გვ. 203).

იმ ეკონომიურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა, ილ. ჭავჭავაძეს მიწისმფლობელობის წესი მიაჩნდა. მისი სიტყვით, „ჩვენს ეკონომიურს წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე — საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო, მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებისას მიწისას და მაშასადამე უსწორ-მასწორობას მიწის მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა. და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა — მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკროდა. აქედან ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდენ კიდეც, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდან სჩანსო — ამბობს ილია, — რომ ჩვეულებამ ფრთა შეუკვეცა საკომლო განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერების დაგვარადა, თანაც ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო“. (ტ. V, გვ. 203-204).

შემდეგ საუკუნეებში, ილ. ჭავჭავაძის სიტყვით, საქართველოს ეკონომიური წესწყობილების ამ კარგს მხარეს „ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაცაო“ (ტ. V, გვ. 206) და, როგორც ეტყობა, საქართველოს მერმინდელი პოლიტიკური დასუსტების ერთ მთავარ მიზეზთაგანად ჩვენს მგოსანს სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა.

საქმე ის კი არ არის, სწორეა, თუ არა თვით ილ. ჭავჭავაძის ზემომოყვანილი განმარტება, აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა.

ილ. ჭავჭავაძე ამბობდა: „ყოველ ერს თავისი გამოჩენილი მოღვაწეები უნდა ახსოვდეს“, რათგან „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითსაო“ (ტ. V, გვ. 208).

დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და თამარის დროინდელი სამხედრო პოლიტიკის მიზნების შესახებ, როგორც ცნობილია იოსებ გედევანიშვილს ჰქონდა 1915 წ. საინტერესო გამოკვლევა გამოქვეყნებული. ურიგო არ არის გავიხსენოთ, რომ არსებითად ამ პრობლემის გაშუქების პირველობაც, ამასთანავე 26 წლით უფრო ადრე, ილ. ჭავჭავაძეს ჰკუთნებია.

საქართველოს ისტორიიდან ილ. ჭავჭავაძეს შემდეგ ერისათვის თავგანწირულობა ჰხიბლავდა. ცნობილია, რომ მისი ისტორიული პოემის „დიმიტრი თავდადებულის“ დედააზრი და სულისკვეთება სწორედ ეს არის. დიმიტრი თავდადებულის შემდგომ საქართველოს გმირ პიროვნებათაგან ილია ჭავჭავაძის ყურადღებას ლუარსაბ მეფის პიროვნება იზიდავდა. აქაც მისი მოღვაწეობის მშვენებად მას ქვეყნისათვის იგივე თავგანწირულობა მიაჩნდა: უნდა გავიხსენოთ საქართველოს ის „გმირი, რომელმაც სთქვა: „რა მადლია თავი გადავარჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინოო, — წავიდა და თავისი თავი ქვეყნის უვნებლობას შესწირაო“ (V, 219).

გ. სააკაძეზე, როგორც ცნობილია, არჩილ მეფესვე ჰქონდა თავის ისტორიულ პოემაში მოსაზრება გამოთქმული, მაგრამ ამ ადამიანის მოღვაწეობა სხვადასხვანაირად იყო ყოველთვის შეფასებული. ვერა გადაეწყვიტათ რა მხოლოდ ქართველ ისტორიკოსებს. ილიას-კი მაინც თავისი მოსაზრება გაკვრით გამოთქმული აქვს. ლუარსაბ მეფის „აზნაურიშვილის მოყვრობამ და ნამეტნავად აზნაურიშვილის ქალის გადედოფლებამ გული აუმღვრია მაშინდელ დიდებულებს, რომელთაც ითაკილეს აზნაურის ქალის დედოფლობა და ბატონობა“. შესაძლებელია ლუარსაბი უბედურებაში სწორედ ამ გარემოებამ ჩააგდო. „დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატიებდა მას მდაბალ-ბუნებიანთა კაცთა შურისაგან. ეს ნაძირალი გრძნობა ადამიანის ავ-ზნიანობისა ბევრს მეტოქეს და მოშურნეს მოუპოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდ-ბუნებიანობაო“ (V, 216).

ეხლა საჭიროა ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებზე ილ. ჭავჭავაძის მსჯელობასა და იმ წვლილის განხილვას შევუდგეთ, რომელიც მას ამ დარგშიც საქართველოს ისტორიის წინაშე მიუძღვის. ილ. ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, ისტორიული კრიტიკაცა და შედარებითი მეთოდიც ისტორიის მძლავრ და აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა, მაგრამ ივ. ჯაბადარის ნაშრომმა დაარწმუნა, რომ მას ვერც ერთი ამ მეთოდთაგანის ვერც დანიშნულება გაუგია და ვერც მათი გამოყენება შესძლებია. რაკი ილ. ჭავჭავაძემ თვითონაც კარგად იცოდა, რომ საქართველოს შემსწავლელთა შორის ამ ორი მეთოდის მცოდნე და გამომყენებელი მართლაც არავინ ჩანდა, ივ. ჯაბადარის კამათის დროსაც ილ. ჭავჭავაძე ამას არამცთუ არ უარყოფდა, არამედ თვითონაც ადასტურებდა: „არა ერთხელ გვითქვამს და ეხლაც საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ავტორი (ე. ი. ივ. ჯაბადარი) ჩვენს ლიტერატურას უკიჟინებს, კრიტიკა და შედარებითი მეთოდი მისთვის უცნობიაო. ეს მართალია“ (V, 134). მაგრამ ილია იმაზე სწუხდა, რომ საუბედუროდ თვით ყიჟინის დამცემიც სრულებით უვიცი გამოდგაო (V, 27 და 134). რაკი ამნაირად თვით ჯაბადარსაც არც ამისი ცოდნა და არც უნარი არ აღმოაჩნდა, აქაც მაშინდელი ქართველი მკითხველისა და მკვლევართათვის ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის რაობის განმარტებას თვითონვე შეუდგა. მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა, არამედ ყველას საქართველოს წარსულის შესასწავლად ამ ორი მეთოდის მარჯვედ და ნაყოფიერად გამოყენების რამოდენიმე მაგალითიც უჩვენა.

უპირველესად საგულისხმოა, რომ იმ დროს, როდესაც „საქართველოს ისტორიის მაშინდელ მკვლევართ „ქართლის ცხოვრების“ ყოველივე ცნობა სჯეროდა და იქ ნაამბობს იმეორებდნენ ხოლმე, ილ. ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრებას“ კრიტიკულად ეპყრობოდა და ყველაფერი, რაც იქ მოთხრობილია, ჭეშმარიტებად კი არ მიაჩნდა, არამედ მას იქ ჩართული ზოგი ცნობების მცდარობა არაერთხელ აღუნიშნავს.

შედარებითი მეთოდის სახელი, ილიას სიტყვით, სრულად „არ შეფერება იმგვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ხატავს მეცნიერება ყველა ენაში. ეს-გვარი კვლევა შედარება კი არ არისო“, — არამედ „სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან თავიდან ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდან სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისთვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი უჩენიაო“ (V, 22).

მეტად საგულისხმოა ილ. ჭავჭავაძის მსჯელობა საისტორიო კვლევაძიებისათვის, შედარებითს მეთოდთან ერთად, ლინგვისტიკური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენებაზეც. გერმანელი ენათმეცნიერის შრადერის ნაშრომზე დაყრდნობით პირველად ილიამ მიაქცია ყურადღება ქართული ზმნის „მართლად გასაკვირველი ფორმების“ სიუხვეს, და აზრის გასაოცარი სიმოკლითა და სიმარჯვით გამოთქმისათვის ჩვენი ენის ამ თვისების მნიშვნელობა კარგადაც განმარტა (V, 92-95). მანვე მაშინდელ ქართველ მკვლევართ დაანახვა, თუ რაოდენად საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით. ილ. ჭავჭავაძე ამბობდა: ივ. ჯაბადარს რომ ენის „სარკეში ჩახედვისა და ნახვის უნარი რამ ჰქონოდა და ერთი ბეწვა გაგება“, განა ის უ-ს „გაზანდრის ადლით გაზომვას“ დააწყებდა? არა, ის „სხვა გზით დააკვირდებოდა ჩვენს ენას და სულ სხვა ამბავს გამოჰკითხავდაო“ (V, 97). მერმე ილ. ჭავჭავაძეს თავისი შემდეგი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული: „განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მომთხრობელნი არ არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მოწყალე, შემიწყალე, მოწყალება“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველებისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყლობა“ ხატვრისა და ვედრების საგნად გახდომია“. შუა მდინარესაც რომ თავი დავანებოთ და თუნდაც რომ „მარტო არმენია ავიღოთ, საცა წინათ ბინადრებულა ქართველი და საცა დღესაც „წყლობა“ მართლა დიდი ღვთის წყალობაა, იმიტომ, რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ კი არა მოჰყავს-რა“ (V, 97), კარგად გვიხსნის, თუ რატომ უნდა მაჰნიჭებოდა „წყლობა“-ს ასეთი მნიშვნელობაო. საუცხოო და გონებამახვილი დაკვირვებაა!

ანდა ავიღოთ, განაგრძობს ჩვენი დიდებული მოღვაწე „სიტყვა „მიცვალება“, „მიცვალებული“, რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ნიშნავს, მაგრამ არასრულიად გაარარავებას, არამედ „გარდაცვლას“, სხვა-სახედ გადასვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან? ან ქალის „გათხოვება“, „მითხოვება“ განა არას გვეუბნება, რომ უწინდელი ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი ჰქონია. განა ეს სიტყვა არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლქმრობის შესახებაო“, კითხულობდა ილია (V, 97-98).

საინტერესოა აგრეთვე ილ. ჭავჭავაძის მსჯელობა ქართველთა სხვა ერებთან კულტურული ურთიერთობის ლექსიკური მასალის ანალიზის საშუალებით გამორკვევის შესაძლებლობაზეც. იგი ამბობდა: „ვთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშვური სიტყვა „აჩუა“. საიდან არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა, რასაც ბავშვი ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვით. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვჩხრეკთ დავინახავთ, რომ... ცხენს ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური „აჩუა“., ცხადი არ არის ეხლა, რის ნაშთია და საიდამ წარმომავალია ეს სიტყვა „აჩუა, რომელსაც დღეს ჩვენში მარტო ბავშვი ჰხმარობს და ბავშვისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერო?“ (V, 22-23).

თავისი ზემომოყვანილი საგულისხმო დაკვირვებების შემდეგ, ილიას სამართლიანად აქვს აღნიშნული: „ბევრს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენი ენა, თუ რომ ბრმა კაცი, და ჩვენის ავტორსავით, ყოვლად უვიცი არ შეხვდაო“ (V, 89). ლებბოკმა ამ მეთოდითა და ასეთი მასალით პირველყოფილი რწმენის, წესწყობილებისა და კულტურის სურათის აღდგენაც კი შესძლოო (იქვე) და განა ქართველი ხალხის წარსულის ასევე აღდგენა კი არ შეიძლებოდა, სათანადო ცოდნა და ნიჭი რომ ყოფილიყო, ფიქრობდა ილ. ჭავჭავაძე.

ივ. ჯაბადარის მცდარ დებულებათა კვალდაკვალ განხილვისას ილ. ჭავჭავაძე არქეოლოგიასა და შედარებითს მითოლოგიასაც შეეხო და აქაც არა ერთი საგულისხმო მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ზნეჩვეულებებისა, კაცისმჭამლობისა, წარმართული რწმენისა, წინაპართა თაყვანისცემისა და დასაფლავების წესების შესახებაც. მანვე სცადა გაეაზრებინა მემატიანის ზოგიერთი ცნობაცა და ძველს სამარხებში აღმოჩენილი ვითარების შესაძლებელი მიზეზიც განმარტა (ტ. V, გვ. 23-26, 111-113, 125, 126, 142, 143, 147 და სხვ.).

ყველა ზემომოყვანილი იმედია ყველას დაარწმუნებს, თუ რამდენად საინტერესო ყოფილა ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიის დარგშიც: როგორც ამ მეცნიერების ზოგადს ამოცანებსა და მეთოდოლოგიაზე, ისევე კერძოდ საქართველოს ისტორიისა და ისტორიკოსთა ამოცანებსა და სწორი მეთოდოლოგიით მნიშვნელოვანი შედეგის მოპოვების შესაძლებლობაზეც ჩვენს დაუვიწყარს მოამაგეს ფრიად საგულისხმო მოსაზრებანი ჰქონდა გამოთქმული. მაგრამ ქართულს მაშინდელ ისტორიოგრაფიაში ისეთი უმწეო მდგომარეობა იყო, რომ, არამც-თუ არსად ჩანდა მკვლევარი, რომელსაც თითონვე ნათლად გაეთვალისწინებინა, თუ რა იყო უპირველესად გასაკეთებელი და შესასწავლი, როგორის თანდათანობითა და რა საშუალებით უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უამრავი მასალები განხილული, არამედ, ილ. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული წერილების შემდეგაც არავინ აღმოჩენილა, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მგოსნისა და პუბლიცისტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება ეცადოს და მეთოდების გამოყენება შესძლებოდეს. ქართველ ხალხს ანდაზა აქვს ნათქვამი: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“, და ჩვენდა საუბედუროდ, მაშინ ილ. ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია.

მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის?! თუ თავდაპირველად ილ. ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადად ითვლებოდა, ამ საუკუნის დამლევიდან მოყოლებული, როგორც ცნობილია, თავი იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამც თუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარჰყოფდა და მიწასთან გასწორებას სცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლამობდა.

საბედნიეროდ ამ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო და, უეჭველია, მთელი საქართველო გულწრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წყალობითაც ეს საშინელი უსამართლობა მოსპობილია და ილ. ჭავჭავაძის დიდი ღვაწლიც საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულია.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახკომსაბჭოში

კარტოფილის ფასის დაკლება

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დააწესა ერთიანი საცალო ფასი თბილისისათვის 1937 წლის მოსავლის კარტოფილზე. ის კარტოფილი, რომელიც შემოვა ბაზარზე 15 ივლისამდე, უნდა გაიყიდოს 55 კაპ. კილოგრამი, 15—31 ივლისამდე—50 კაპ. 1—31 აგვისტომდე— 45 კაპ. და 1 სექტემბრიდან—40 კაპ.

150 ათასი მანეთი ანტირელიგიური მუშაობისათვის

სახკომსაბჭომ დაადგინა მიეცეს საქართველოს მებრძოლ ურმერთოთა საზოგადოების საბჭოს ანტირელიგიურ ღონისძიებათა ჩატარებისათვის 150 ათასი მანეთი. აქედან ათათი ათასი მანეთი მიეცა აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის საბჭოებს.

ფასების დაკლება ფეხსაცმელზე

სახკომსაბჭომ დაადგინა: დაკლებულ იქნას ფასები 8 პროცენტით ინდივიდუალური შეკვეთით შეკერილ ფეხსაცმელზე, რომელსაც ამზადებენ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის საწარმოები.

დამხმარე მეურნეობათა გაუქმება

სახკომსაბჭოს დადგენილებით გაუქმებულია საწარმოთა და მუშათა მომარაგების განყოფილებათა შემდეგი დამხმარე მეურნეობანი: სიღნაღის სიღნაღის რაიგანყოფილებისა—43 ჰექტარი მიწის ფართობით, მოლიბდენისა—3 ჰექტარით, ქუთაისის მაუდის ფაბრიკისა—12 ჰექტარით, ქუთაისის ფეხსაცმელების ფაბრიკისა—7 ჰექტარით და ბორჯომის საჭმინწყლების ჩამომსხმელი ქარხნისა — 15 ჰექტარით.

ჩამოთვლილ მეურნეობათა მიწები გადაეცა უმთავრესად კოლმეურნეობებს, ნაწილი კი ქუთაისის ქალაქის საბჭოს და ბორჯომის რაიაღმასკომს.



ფიზკულტურელთა საკავშირო პარადის მონაწილეთა ჯგუფი საქართველოდან (მარცხნიდან მარჯვნივ): მ. კეშელავა, გეიხე, გიორგაძე, ღვინიაშვილი, გოლაშვილი, კიტუაშვილი, გაბუნია.

ფოტო გ. ლიხვისა

700 კომლი ახალ მიწებზე

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა ახალ მიწებზე დასახლების საკითხი და წინადადება მისცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაამუშაოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს 1937 წელს ახალ მიწებზე დასახლების გეგმა.

გეგმის შედგენის დროს განხილულ უნდა იქნას ყველა განცხადება, რომელიც კი შეტანილია ამ საგანზე. პირველ რიგში უზრუნველყოფილი უნდა იქნან მშრომელი ებრაელები, რომელთაც მიეცემათ ნაკვეთები კოლხიდის დაბლობზე, ლაგოდეხის რაიონში და აფხაზეთში გაუქმებულ „ჩერნოსლივისა“ და „ჩორნაია რეჩკას“ საბჭოთა მეურნეობების მიწებზე.

მიმდინარე წელს ახალ მიწებზე უნდა დასახლდეს არა ნაკლებ 700 მეურნეობისა.

ისაკ ნასარიას გვამი იპოვნეს

მკითხველს ეხსომება, რომ 1936 წლის 25 დეკემბერს ყაზბეგის კალთაზე დაიღუპა ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეო-სადგურის მუშაკი კომკავშირელი ისაკ ნასარაია. ნასარაია წამოვიდა სადგურიდან სოფ. ყაზბეგში. ფიქრობდნენ, რომ მას გზა დაებნა და გადაიჩეხა ნაპრალში. ეს ვერსია მით უფრო სარწმუნო იყო, რომ დაღუპულის ხანგრძლივმა ძებნამ შედეგი არ გამოიღო და კვალს ვერ მიაგნეს.

2 ივლისს სოფ. გერგეთის ალპიურ საძოვრებზე წასულმა ქალებმა ოლღა წიკლაურმა, ქეთო სუჯაშვილმა, სონა ქისტაურმა და კაიხნერმა შალვა წიკლაურმა საძოვრებს ზემოთ, გერგეთის მყინვარის მახლობლად იპოვნეს კაცის გვამი. პირველად გვამს წააწყდა ოლღა წიკლაური. ქალებმა ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს ყაზბეგის რაიონის ხელისუფლებას. ნაპოვნი საბუთებით ირკვევა, რომ ეს დაღუპული ისაკ ნასარაიაა.

4 ივლისს ყაზბეგში გაემგზავრა თბილისის ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამმართველოს კომისია, რომელმაც გამოიცნო გვამი. კომისიის წევრებთან ერთად ყაზბეგში გაიმართა თათბირი ტრაგიკულად დაღუპული კომკავშირელი ნასარაიას დაკრძალვის შესახებ. ნასარაიას დაკრძალვა გადაწყვეტილია 8 ივლისს სოფ. ყაზბეგის ძმათა სასაფლაოზე.

თბილისის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს დააჯილდოვოს გვამის მპოვნელები.

სჩანს ნასარაიას გზა არ დაჰბნევია, იგი ზუსტად იცავდა დაწესებულ ტრასას და როცა სახიფათო ადგილები უკვე განვლილი იყო, შეუსვენებია, თოვლზე ჩამომჯდარა. ამ დროს მას მოულოდნელად ზვავმა მოუსწრო და ქვეშ მოიქცია. ნასარაია დამხრჩვალია. ტანისამოსი შემოლპობია და დარჩენილია ჩონჩხი.

◇

დათვის ბელები ზოოპარკისათვის

მოსკოვი, 5 ივლისი (საქდესი). მოსკოვის ზოოლოგიურ ბაღში მომუშავე პროფ. მანტეიფელმა რუდოლფის კუნძულის დაზამთრების უფროსის ამხ. ლიბინისა და საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავის ამხ. მაზურუკისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„ყინულმჭრელ „სადკოთი“ გიგზავნით დათვის ორ ბელს „მიშკას“ და „მაშკას“, რომლებმაც ბევრი მხიარული წუთები განაცდევინეს ექსპედიციას. გთხოვთ გამოგზავნოთ არხანგელსკში წარმომადგენელი დათვის ბელების მისაღებად“.

ფიზკულტურელთა პარადი

12 ივლისს მოსკოვის წითელ მოედანზე გაიმართება ფიზკულტურელთა სრულიად საკავშირო პარადი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 40.000 ფიზკულტურელი თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკიდან. მოსკოვიდან პარადში მონაწილეობენ 26 სასპორტო საზოგადოების ფიზკულტურელები. ყველაზე მეტი სპორტსმენები გამოჰყავთ „დინამოს“ — 4.000 კაცი, „სპარტაკს“ და „ლოკომოტივს“ — 800 კაცი თვითეულს და სხვ.

მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებიდან მოსკოვში ჩავლენ სასპორტო დელეგაციები 150-200 კაცის შემადგენლობით, რომლებიც პარადზე გამოვლენ მხატვრულად გაფორმებული ვარჯიშობით.

უკრაინა მოსკოვში ჰგზავნის კიევის, ხარკოვისა და სხვა ქალაქების საუკეთესო ფიზკულტურელებს. მათ შორის არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ბეზრუკოვი, პრივალოვი, მსოფლიო რეკორდსმენი პოპოვი. უკრაინელი ფიზკულტურელები წითელი დედა-ქალაქის მშრომელებს უჩვენებენ თავისუფალ ვარჯიშს. უკრაინელთა გამოსვლაში ერთერთი ყველაზე მკაფიო მომენტი იქნება — საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა მუშაობა 15 ღერძზე.

საქართველოდან პარადში მონაწილეობას მიიღებს 200 ფიზკულტურელი მკაფიო სტილიზებული ნაციონალურ კოსტუმებში („ჭოხა“). კოლონას მეთაურობენ საქართველოს სახელოვანი სპორტსმენები გ. ეგნატაშვილი, გ. რცხილაძე, დ. იოსელიანი.

ყველა ვარჯიშობა შესრულებული იქნება ნაციონალური ქართული მოტივების აკომპანემენტით.

პროგრამაში შეტანილია საქართველოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა. სპეციალურ ძელებზე თავის სასპორტო კლასს უჩვენებენ ორდენოსანი გ. რცხილაძე, ა. ჯორჯაძე, გ. ბაბილოძე, პ. რომანიშვილი, ლ. ყანჩაველი და სხვ. განზრახულია აგრეთვე ქართული ჭიდაობის საუკეთესო ოსტატთა გამოსვლა.

საქართველოს ფიზკულტურელების მოსკოვში პირველი გამოსვლის ორგანიზაცია და მხატვრული გაფორმება მინდობილი აქვს ძველ ფიზკულტურელს — ორდენოსან დ. ჯავრიშვილს.

საქართველოს ფიზკულტურელთა კოლონის უფროსად დანიშნულია ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად საქართველოს კომიტეტის ინსპექტორი ვ. ვერულაშვილი.

სტილიზებული ნაციონალური ფიზკულტურული კოსტუმები დამზადებულია მხატვარი ქალის ა. ძნელაძის ესკიზების მიხედვით.

პარადის მონაწილეებმა შეისწავლეს რამდენიმე ნაციონალური სიმღერა, მათ შორის ახალი სიმღერა სტალინზე.

სომხეთის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

„გ ო შ ი“

სომხეთის სახელმწიფო თეატრის მორიგი წარმოდგენა, რომელიც 3 და 4 ივლისს დაიდგა, იყო სომეხი ახალგაზრდა დრამატურგის ლუდვიგ მიქაელიანის ისტორიულ-რევოლუციური პიესა „გოში“.

ეს პიესა თავისი შინაარსით და ეპიური ხასიათით ენათესავება ქართულ „არსენას“.

პიესაში მოცემულია XIII — XIV საუკუნის სომხეთის ფეოდალური ხანა დაბეჩავებული მშრომელი გლეხობის უმწეო მდგომარეობა. მათი სურვილები, განცდები, მისწრაფება, მათი გულისწყრომა და აჯანყება სომეხ თავადაზნაურობის წინააღმდეგ, რომელიც სამღვდელოებასთან ხელიხელჩაკიდებული ცდილობდა ყოველ მხრივ დაემონებინა გლეხობა. გლეხები იბრძვიან თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლას სათავეში უდგა ღარიბი გლეხი, თავად არსაკის მეჯინიბე ახალგაზრდა გოში, რომელიც ამხედრებს გლეხობას მონური უღლის დასამხობათ. რა თქმა უნდა, გლეხობის ეს მოძრაობა მიზანს ვერ აღწევს. იგი სავსებით ვერ თავისუფლდება მონობისაგან და ვერაფერს ხდება გაბატონებულ კლასთან, მაგრამ იგი მაინც საპატიო როლს ასრულებს, ხალხში შეაქვს ბრძოლის სული, უნარიანობა და აყენებს მას გამოფხიზლებისა და გათვითცნობიერების გზაზე.

პიესა „გოში“ ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, თუ რამდენად ერთი ბედილბლისა იყო ქართველი და სომეხი გლეხობა, მშრომელი ხალხი წარსულ საუკუნეთა განმავლობაში, ფეოდალურ პირობებში და რამდენად ერთნაირი იყო მათი ბრძოლის მეთოდი.

პიესა აგებულია საინტერესო ინტრიგებზე და დაწერილია თეთრ ლექსად.

თავად არსაკის როლი კარგად აქვს შეთვისებული დამსახურებულ მსახიობს ც. ამერიკიანს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ხმა სრულიად შეუფერებელია მკაცრი და ულმობელი თავადისათვის. არც დამსახურებული მსახიობი ქალი დურიან-არმენიანი სდგას თავის სიმაღლეზე, მის მიერ შესრულებული არმენდუხტის როლი (თავადის ცოლი) მკრთალია.

ვეჰანუშის (თავადის ქალი) როლი კარგად შეასრულეს ე. შაქარიანმა და ნ. ბახიანმა, თუმცა მათაც რამდენადმე აკლდათ სიცოცხლე და სიხალისე. დამაჯერებელი თამაში მოგვცეს ბ. შაჰარიანმა — მანდაკუნის, გ. მარტიროსიანმა — ურაპელის, ს. კაჟოიანმა—ოძნელისა და არ. ჰარუთუნიანმა — ტათეველის როლებში. მეტად დამახასიათებელი იყო დამსახურებული მსახიობი მ. გავროში ბირივანელის როლში. ამავე როლში კარგი იყო აგრეთვე პაიკასარი. საუკეთესოდ განასახიერა გაიძვერა ბერის როლი. ა. რშტუნიმ (ალაკელი).

გოშის როლს პირველ დღეს ასრულებდა გ. აკოფიანი, ხოლო მეორე დღეს ა. ფაშაიანი. ორივე სასცენო ნიჭით დაჯილდოვებული მსახიობები არიან. მათი თამაში საინტერესოა. გ. აკოფიანის თამაში ღრმად მოფიქრებული და დამაჯერებელია, მიხვრა-მოხვრა მიზანშეწონილი. მხოლოდ მსახიობი უნდა ერიდოს კლასიკური პიესების პათოსს, რომელიც შეუფერებელია ამ გლეხური როლისათვის. ა. ფაშაიანი უფრო ცოცხალია ამ როლში, ხოლო მას აკლია აკოფიანის სიღრმე, აწონილდაწონილობა.

მსახიობი ქალი რ. ოდაბაშიანი კარგი იყო ვაზგანუშის როლში.

თავი ისახელა ამ წარმოდგენაში ახალგაზრდა მსახიობმა კ. არუთუნიანმა ზენობის როლში. იგი დაჯილდოვებულია

მსახ. გ. აკოფიანი გოშის როლში

კარგი ხმითა და სასცენო ნიჭით. მის მიერ შესრულებული ზემოხსენებული როლი საუკეთესო საწინდარია მისი მომავალი არტისტული ზრდისა.

კარგად ასრულებდნენ ე. ელოიანი — თათოსის, ა. ქოჩარიანი—დავითის, რ. სალთელიანი, ვ. მკრტიჩიანი, ტ. გეორგიანი—გლეხების როლებს.

დამსახურებული რეჟისორის ვ. აჯემიანის ეს დადგმა ჯერ კიდევ ბევრ დამუშავებას მოითხოვს. მხატვარ შერიშევის დეკორაციები და ტანისამოსი არასავსებით შეეფერება დრამატურგის მიერ დასახულ მიზანსა და დანიშნულებას, იქ არ არის დაცული XIII—XIV საუკუნის სომხური ეროვნული სტილი და გემოვნება. სუსტია ი. ელიაზარიანის მუსიკა მეორე და მესამე სურათში.

სათანადო შესწორების შემდეგ პიესა „გოში“ უსათუოდ ჩაითვლება საბჭოთა დრამატურგის მიღწევად. მიუხედავად ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანებათა, საზოგადოება კარგად შეხვდა ამ წარმოდგენას და ყვავილებითა და ტაშით დააჯილდოვა შემსრულებლები.

ხურენ ავჩიანი

ქუთაისი. რიონჰესის სამმართველოს ახალი სახლი.

ფოტო რ. აკოფოვისა

◇

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

81.054 მანეთი მიითვისეს

(ბათუმი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

შალვა გარჩილაძე და შალვა ვაჩეიშვილი მუშაობდნენ აჭარის წყალთა მეურნეობის სამმართველოში. პირველი—სამმართველოს უფროსად, ხოლო მეორე — სამუშაოს მწარმოებლად და იმავე დროს მოლარედ.

აჭარის წყალთა მეურნეობის სამმართველო აწარმოებდა რესპუბლიკის ფარგლებში სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოს. საარხო მშენებლობა დაყოფილი იყო ცამეტ ობიექტად, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ზემოხსენებული პირები.

ყველა სამუშაოს, გარდა მცირედი გამონაკლისისა, ასრულებდა ადგილობრივი მოსახლეობა ბეგრის წესით. ამ გარემოებას ბრალდებულები ბოროტად იყენებდნენ: ისინი ამ უფასოდ შესრულებულ სამუშაოებზე ადგენდნენ ყალბ ანგარიშებს, რაზედაც ხელს აწერდნენ სხვადასხვა პირები, რომლებიც სინამდვილეში არ არსებობდნენ.

1934 წლიდან მიმდინარე წლამდე ამ ბოროტმოქმედებმა მიითვისეს 81,054 მანეთი.

აღნიშნულ საქმეს ამ მოკლე ხანში გაარჩევს აჭარის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო.

შ. ფურცხვანიძე

დამნაშავენი სასტიკად უნდა დაისაჯონ

წულუკიძე, 5 ივლისი (საქდესი). წულუკიძის რაიონში, ხიდის სოფსაბჭოში შენდება სკოლის შენობა, რომელიც აგვისტოსათვის უნდა დამთავრდეს. ამ შენობის აგება ჯერ კიდევ 1931 წელს დაიწყო, მაგრამ რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად გამომჟღავნებული ხალხის მტერი, ვლადიმერ ნადარეიშვილი, ყოველმხრივ აფერხებდა მშენებლობას. შენობას აგებს ტექნიკოსი სულაბერიძე, რომელიც არავითარ ზომებს არ ღებულობს საქმის დასაჩქარებლად.

მავნებლობის შედეგად მშენებლობას ბოლო არ უჩანს, დაიღუპა რამდენიმე ათასი მანეთის საშენი მასალა, მათ შორის ხე-ტყის საშრობი, რის მოწყობასაც 7 ათასი მანეთი მოახმარეს. ეს სამხერხაო არ გამოუყენებიათ.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ზედაკინჩხის სკოლის შენობის აგება.

გეოლოგიური კონგრესის მონაწილენი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა მე-17 საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის მონაწილეების ექსკურსია.

სულ თბილისში ჩამოვიდა 92 კაცი, მათ შორის 66 უცხოელი მეცნიერი.

თბილისში ჩამოსვლამდე მეცნიერი გეოლოგები დიდხანს შეჩერდნენ ფასანაურში, სადაც მათ შეხვდნენ საქართველოს მეცნიერი გეოლოგები: პროფესორები ა. ი. ჯანელიძე, ა. ა. თვალჭრელიძე და კ. ე. გაბუნია. მეორე გაჩერება იყო მცხეთაში, სადაც მეცნიერებმა დაათვალიერეს საქართველოს ძველი დედაქალაქი, მცხეთის ტაძარი და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები

◇

ახალი ამბები

● **წელს** აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში გეგმით უნდა შეგროვონ რამის 589 ტონა მწვანე მასა. უკვე შეგროვილია 770 ტონა. ჩაბარებული პროდუქციისათვის კოლმეურნეებმა მიიღეს 149.842 მანეთი.

● **7 ივლისს,** საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პროზაიკოსთა სექცია აწყობს არჩილ ჯაჯანაშვილის ახალი რომანის „ნაკურალის“ განხილვას. მომხსენებელია კონსტ. ლორთქიფანიძე. შესვლა თავისუფალია.

● **6 ივლისს,** საღამოს 8 ნახ. საათზე, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზში (კეცხოველის ქ. № 5) შესდგება დოც. ქ. კაპანელის მოხსენება თემაზე: „ქართული აზროვნება და მეტყველება რუსთაველის ეპოქამდე“. შესვლა თავისუფალია.

პარტკალენდარი

7 ივლისს, საღამოს 8 საათზე, კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში ამხ. იმედაძე ალკკ პროპაგანდისტებისა და აქტივისათვის მოხსენებას გააკეთებს ქართულად თემაზე: „უცხოეთის დაზვერვის მიერ აგენტების შეგროვების ზოგიერთი ვერაგული ხერხის შესახებ“.

○

პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს მამია დავითაიას (საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების ყოფ. გამგე), სერგო რეხვიაშვილს (სატყეო ინსტიტუტი) სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის ქ. № 8) ამხ. ო. ჩიხლაძესთან.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გრ. მუშიშვილი

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ჩვენი საბავშვო ჟურნალები

ყოველთვიური ჟურნალი „პიონერი“ გამოდის თხუთმეტათასიანი ტირაჟით. მისი ამოცანაა ემსახუროს ახალგაზრდა თაობას, მოწაფეებს, რომელნიც მეხუთე-მერვე კლასებში სწავლობენ. „პიონერის“ საქმის ჯეროვანი მოწესრიგება გაამდიდრებს და წინ წასწევს საბავშვო ლიტერატურას. ამას მოითხოვს ჩვენი ახალი თაობის ინტერესები.

ნომრებში მოთავსებულ მასალას მრავალფეროვნება აკლია, მისი თემატიკა ვიწრო ფარგლებითაა განსაზღვრული. მასალები ხარისხობრივადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ხშირად მოცემულია ძველი ზღაპრები, რომლებიც ამჟამად სრულებით მოკლებული არიან აქტუალობას. მაგალითად, ნ. ლ-ძემ სთარგმნა გრიმიდან „პეტრიკა და პეტრიკელა“ („პიონერი“, 1936 წ. № 8-9). რასაკვირველია, კლასიკოსების თარგმნა საჭიროა, მაგრამ ეს ჩვენ არ გვავალებს ზოგიერთი დამახინჯება თარგმანის სახით ჩვენს ჟურნალებშიც დავუშვათ.

„მეცხრამეტე საუკუნე გეოგრაფიული აღმოჩენების ხანაა. ამ დრომდის თავისივე საზღვრებში კარჩაკეტილმა ევროპის ქვეყნებმა დაიწყეს საზღვაო ფლოტის განვითარება..“ („პიონერი“, 1936 წ. № 4, გვ. 19, თარგმანი ნ. ლორთქიფანიძისა). ეს ისტორიული ფაქტების უხეში დამახინჯებაა, რადგან ევროპის ქვეყნებმა თავიანთი „კარჩაკეტილობა“ ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში ფართოდ გაარღვიეს ახალი მატერიკის—ამერიკის აღმოჩენით, საოკეანო გზების გამონახვით და მასობრივი კოლონიზაციით. ახალგაზრდა თაობის შეცდომაში შეყვანას არავინ გვაპატიებს. მაგრამ ყველაზე მეტად აუტანელი და დაუშვებელი ის არის, რომ ჟურნალის მკითხველებს, ზოგიერთ შემთხვევაში, აწვდიან უხეშად დამახინჯებულ პოლიტიკურ საკითხებს.

კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველთა დივერსანტულ ჯაშუშურ საქმიანობაზე 1936 წლის „პიონერის“ (№ 8-9) მოწინავე სწერს: „რას მოითხოვდნენ ტროცკისტ-ზინოვიეველები, რა უნდოდათ მათ?“ იმის მაგივრად, რომ ხაზი გაუსვას ხალხის მტრების ცდას საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის აღდგენისათვის, მოწინავე უპასუხებს: „მათ პროგრამა არა აქვთ“. არსებითად ამ მოწინავის მთელი შინაარსი მიმართულია იქით, რომ ტროცკისტ-ზინოვიეველთა კონტრრევოლუციური საქმიანობა დაიყვანოს მხოლოდ „ხელისუფლების დაპატრონების იდეამდე“.

მთელი წლის განმავლობაში ჟურნალმა პოლიტიკურ საკითხებზე მხოლოდ რამდენიმე წერილი დაბეჭდა. ეს წერილები ხარისხით გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე სხვა თემებზე დაწერილი წერილები. აუცილებელია ამას სერიოზული ყურადღება მიექცეს.

ჟურნალი არაფერსა სწერს სტახანოვურ მოძრაობაზე ჩვენი მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ეს საკითხი ფართოდ უნდა იქნას ილუსტრირებული სტახანოველთა სურათების მოთავსებით და აღმზრდელობითი ინიციატივის ხელში აღებით. აღმზრდელობითი ხასიათის წერილები ძალიან ნაკლებადაა.

განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, რომ კლასიკოსების ნაწარმოებნი ძალიან მცირე რაოდენობითაა მოცემული. არც ჟურნალის კორესპონდენტთა შემადგენლობაა დამაკმაყოფილებელი. საჭიროა ჟურნალის უკეთესი ძალებით უზრუნველყოფა, ცნობილი საბავშვო მწერლების უფრო მეტად მოზიდვა. რედაქციამ უნდა გარდაჰქმნას თავისი მუშაობა.

ჟურნალი უზრუნველყოფილი არ არის საჭირო რაოდენობისა და კარგი ხარისხის ქაღალდით. ჟურნალის მოცულობის განსაზღვრულობა (საშუალოდ 25 გვ.) თემატიკის მრავალფეროვნების შესაძლებლობას სპობს. ჟურნალების რედაქციათა სამუშაო ტექნიკური პირობები უვარგისია. მწვავედ დგას რედაქციების ბინის საკითხი. საბავშვო ჟურნალების ოთხ რედაქცია მოთავსებულია ერთ ოთახში, სადაც ანტისანიტარიაა გამეფებული.

ასევე შეიძლება ითქვას „ოქტომბრელზე“. არც ეს ჟურნალია დაზღვეული უვარგისი მასალებისაგან. მოთხრობების მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი შინაარსითა და მოცულობით არ უპასუხებს იმ ასაკის მოთხოვნილებებს, რომლისთვისაც არის გათვალისწინებული. ხშირად ერთი მოთხრობა რამდენიმე ნომერში იბეჭდება, ადგილი აქვს გაგრძელებებს, რაც ამ ასაკის ბავშვებისათვის მიუღებელია.

ზოგან დარღვეულია ენის ნორმები და სისწორე. მოთავსებული ლექსების ნაწილი მდარე ხარისხისაა. აღსანიშნავია, რომ გარდა გ. ქუჩიშვილისა და ი. გრიშაშვილისა, პოპულარული პოეტებიდან ჟურნალში თითქმის არავინ მონაწილეობს.

აღმზრდელობითი მხარე ამ ჟურნალისა, ისე როგორც „პიონერისა“, სუსტია. სურათები მოკლებულია შნოს და ზოგჯერ ბუნდოვანობის გამო ვერ გამოხატავს ტექსტის აზრს.

ჟურნალ „ოქტომბრელის“ რედაქციასაც დასჭირდება მუშაობის გამახალისება, მწერლების საუკეთესო ნაწილის მოზიდვა და თავისი ტექნიკური მხარის მოწესრიგება.

გ. ტივაძე

◇

„დარეჯანის სასახლე“

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა — ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებულ ხიძველეთა დამცველ კომიტეტს გადასცეს ეგრეთწოდებული „დარეჯანის სასახლე“, როგორც თბილისის სამოქალაქო არქიტექტურის ერთადერთი გადარჩენილი ძეგლი.

○

„დარეჯანის სასახლე“ აგებულია მე-18 საუკუნეში. სასახლე მდებარეობს ავლაბარში (ძველი სახელწოდებით — ისანში) და დგას ციცაბო კლდეზე ყოფ. სირაჯხანის თავზე. ეზოდან სასახლე წარმოადგენს ერთსართულიან შენობას ხუთი ოთახით, მას აქვს ორიგინალური ნახევრადმრგვალი აივანი.

სასახლე გვირაბით უერთდება მეტეხს; ამ გვირაბის კვალი ახლაც სჩანს სასახლის ქვეშ.

სასახლის გვერდით იყო პატარა მონასტერი, რომელთანაც იგი აგრეთვე შეერთებული იყო. სასახლეს ჰქონდა საკუთარი გოგირდის აბანო.

○

იმ სასახლის ფართობი, რომელიც ახლა უნდა გადასცენ კულტურის ძეგლთა დამცველ კომიტეტს, განთავისუფლებული იქნება შენობებისაგან, რომლებიც არ არიან საჭირო და არ წარმოადგენენ ინტერეს. ამ ფართობზე ააგებენ ტიპიურ ქართულ „დარბაზს“. აქ განზრახული აქვთ შეკრიბონ და გამოჰფინონ მასალები, რომლებსაც იპოვნიან არქეოლოგიური გათხრების დროს და, რომლებიც აშუქებენ საქართველოს წარსულს.

საქფილ- ეგთის ხაზაფხულო თ ე ა ტ რ ი
ოპერეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლები
6 ივლისს ტალონი № 30 უკანასკნელი ჩარდაში
7 ივლისს ტალონი № 31, 8 ივლისს ტალონი 32 ბოშური სიყვარული
9 ივლისს ტალონი № 33 მოცეკვავე კატია
წარმოდგენების დასაწყისი საღ. სრულ 9 ს. 15 წ.
ღია ესტრადა
6 ივლისს მოსკოვის ჯ ა ზ ი ალექსანდრე ცფასმანისა და მუსიკ-ჰოლის პროგრამა
დასაწყ. საღ. 10 ს.
წით. არმ. სახალხო სახლის ბაღი — საქფილეგთის ფილიალი
6, 7 და 8 ივლისს პ რ ე მ ი ე რ ა სრულიად შეცვლილი პროგრამა
დასაწყ. საღ. 9 ს. 30 წ.
ანონსი 10 ივლისს საზაფხულო თეატრში გასტროლი დამსახურებული კაპელისა დ უ მ კ ა.
20 ივლისს ბალეტის მხოლოდ ერთი საღამო რესპუბლ. დამსახ. არტ. მარინა ს ე მ ი ო ნ ო ვ ა ბილეთები იყიდება.
ბილეთები იყიდება ყოველდღე დილის 11-დან 2 ს-მდე, საღამოს 7-დან 10 ს-მდე. წარმოდგენა გაიმართება, რა ამინდიც უნდა იყოს. მესამე ზარის შემდეგ მაყურებლებს აღარ შეუშვებენ დარბაზში.
50

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30 რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30, 10-30 26 კომ. სახ. საზამთ. 6-30 საზაფხ. 9 განთიადი დასაწყ. საღ. 6-30 წ.	ახალი ხმოვანი სავმირო ფილმი ქართულ ენაზე „არსენა“ რეჟისორი — ორდენოსანი მ. ჭიაურელი. საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები.
კომინტერნი 9, 11 ოქტომბერი 7, 9, 11 კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30 არსენა (კიროვის სახ. რაიონი) 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი საგმირო ფილმი რუსულ ენაზე „არსენა“ რეჟისორი — ორდენოსანი მ. ჭიაურელი. საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები.
ახალი ამბები. დასაწყ. 6-30	გმირთა გაფრენა — ხმოვანი ჟურნალი, ძირს დაუშვებელი მოსკოვი — ჩრდილოეთის პოლუსი — ჩრდილოეთ ამერიკა გადაფრენისადმი მიძღვნილი.

სახკინმრეწვის კინო-მსახიობთა სასწავლებელი
მომავალი 1937/38 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას
სასწავლებელი ამზადებს კინო-მსახიობებს. სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე. სწავლების ვადაა 3 წელი. მიღებული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით. სასწავლებელში მიიღებიან სათანადო გამოცდის შემდეგ ორივე სქესის მოქალაქენი 18—25 წლამდე საშუალო ცოდნით.
გამოცდები ჩატარებული იქნება უნივერსიტეტის (ლიტერატურული ფაკულტეტის) საგამოცდო პროგრამის ფარგლებში და დაემატება შემდეგი სპეციალური საგნები: 1. მეტყველება (მონოლოგი, ლექსი, იგავარაკი), 2. იმპროვიზაცია (სასცენო ამოცანები), 3. ხ მ ა, სმენა, რიტმიულობა; 4. მუსიკალობა.
გამოცდები იწარმოებს 25 აგვისტოდან.
განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: 1) საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, 2) მეტრიკული ამონაწერი, 3) მოკლე ავტობიოგრაფია 2 ცალად, 4) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების ცნობა, 5) ორი ფოტოსურათი, პირადად გამოცხადებისას წარმოდგენილ უნდა იქნას პასპორტი.
სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.
განცხადებების მიღება იწარმოებს ყოველდღე (პირადად ან ფოსტით) 1-დან 23 აგვისტომდე დილის 11 საათიდან 3 საათამდე.
თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 123, საქფილეგთის შენობა. კინოსასწავლებლის დირექტორს.
განცხადებების მიღება იწარმოებს აგრეთვე: სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში და სტალინირში სახკინმრეწვის წარმომადგენლობაში, ფოთში, მახარაძეში, თელავში, სიღნაღში და ჭიათურაში კი—კინობაზაში.
80
კინოსასწავლებლის დირექცია.

ა. წ. 7 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქ. გეოგრაფიული საზოგადოების სხდომათა დარბაზში (კეცხოველის, 11) შესდგება საზოგადოების წევრთა საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს საკ. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოგრაფიული ლექსიკონის მთავარი რედაქტორი ამხ. გ. მ. გრიგორიანი თემაზე:
„საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონის შედგენაზე გაწეული მუშაობის შესახებ“.
85
დასწრება თავისუფალია.

ა/წ. 7 ივლისს, საღამოს სრულ 9 საათზე, თბილმრეწვაჭრობის უნივერმაღის დარბაზში (კომინტერნის ქ. № 5) შესდგება
მყიდველების კონფერენცია
უნივერმაღის დირექცია სთხოვს მყიდველებს მობრძანდნენ აღნიშნულ კონფერენციაზე მაღაზიის მუშაობაში დეფექტების გამომჟღავნების მიზნით და მყიდველების მომსახურეობის გაუმჯობესებისათვის.
17255
თბილმრეწვაჭრობის უნივერმაღის დირექცია.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის —3—57—61, სასოფლო-სამეურნეო —3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ/მგ. მორიგის —3—26—67, გამომცემლობის —3—51—81, სტამბის დირექტორის —3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ)

„მმ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული მ—8600